წელს ჯარში წასაყვანი ადარავინ დარჩა A2

„იტერა„ „თბილგაზის„ ბედზე იწყებს მსჯელობას A3

შინაგან საქმეთა მინისტრი ანკესს წამოეგო A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 13 აგვისტო, 2002 წელი. №72

ფასი 50 თეთრი

# გადათვლა დაიწყო

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ, როგორც იქნა, ცენტრალური საარჩევნო კომისია "დიდ რბოლაში" ჩაება – ცესკოს ოთხმა სამუშაო ჯგუფმა (ნაცვლად ხუთისა), ყოვლად არასაზეიმო ვითარებაში და უკონდიციონერებო დარბაზში, პირველი ფუთები გახსნა და ამით სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგა. ბიულეტენების გადათვლა, რომელიც, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ორ თვეში დასრულდება, პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების მეთვალყურეობით წარიმართება. გუშინ ბიულეტენების დათვლას "ნაციონალური მოძრაობის", ლეიბორისტული, "სახალხო", სოციალისტური პარტიებისა და "მრეწველების" წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალყურს.*

საღამოს 6 საათისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე 11 უბნის მონაცემების გადათვლას ასრულებდა. აქედან ოთხ უბანში საერთოდ ვერ აღმოაჩინეს ამომრჩეველთა სიები, ორ უბანს, სიებთან ერთად, გამოყენებული ბიულეტენებიც აკლდა. რაც შეეხება დანარჩენ უბნებს, აქაც საკმაოდ სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა. ასე, მაგალითად, ერთგან 20 გაფუჭებული ბიულეტენი საარჩევნო უბნის ხელმძღვანელობამ ერთ-ერთ პარტიას "აჩუქა", რითაც მას ხმები მოემატა და ა.შ.

ამის საფუძველზე, სასამართლო განხილვებს მონატრებულმა "სახალხო პარტიამ" გადაწყვიტა, კვლავ თემიდას მიმართოს. მეტიც: პარტიის წარმომადგენელმა **პაატა კიკვაძემ,** ბიულეტენების გადათვლის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ, ცესკოსაც შეუტია და განაცხადა, რომ იგი არღვევდა ინსტრუქციას. კიკვაძის მტკიცებით, **"ერთ-ერთმა ჯგუფმა ბიულეტენები ისე გადათვალა, ყურადღება არ მიუქცევია, რომ ამ ტომარაში ამომრჩეველთა სიები არ იყო".** როგორც პაატა კიკვაძე ვარაუდობს, **"შესამოწმებელი უბნების უმრავლესობა ამომრჩეველთა სიების გარეშეა შემოსული ცესკოში"**.

როგორც "24 საათს" ცესკოს იურიდიული განყოფილების უფროსმა, **ელდარ გოგიაშვილმა** განუცხადა, **"ცენტრალური სარჩევნო კომისია ასეთი უბნების მონაცემებს მაინც შეაჯამებს".** ეს კი პაატა კიკვაძეს არასწორად მიაჩნია. იგი დარწმუნებულია, რომ არჩევნების ახალი შედეგები კვლავ გაბათილდება და ხელახელი არჩევნები აუცილებლად გაიმართება. ერთი სიტყვით, "სახალხოელები" კვლავ ახალი არჩევნების გარდუვალობაზე საუბრობენ.

იმის გამო, რომ სასამართლომ ცესკოს მიერ შეჯამებული არჩევნების შედეგების ოქმი გააუქმა, საკმაოდ რთული სათქმელია, უკვე შემოწმებული უბნების მონაცემები რამდენად შეესაბამება ძველს. თუმცა, პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკუთარი ოქმებით გამოცხადდნენ, "24 საათთან" საუბარში აღნიშნეს, **რომ ჯერჯერობით დიდი ცდომილება ძველ და ახალ შედეგებს შორის არ არსებობს.**



*დავიწყოთ?*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# "პანკისში შესვლა რუსეთისთვის კარგად არ დამთავრდება"

თამარ ხორბალაძე

სანამ კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებების დაწყების სერიოზული საფრთხე იქმნებოდა და ქართული ხელისუფლება სიტუაციის ამ მიმართულებით განმუხტვაზე ზრუნავდა, კვლავ გააქტიურდა პანკისის ხეობაში რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ სპეცოპერაციის ჩატარების თემა:

**"გადაწყვეტილება პანკისში შესვლის თაობაზე, შესაძლოა, უკვე მიღებულია. ახლა კი ხორციელდება კონკრეტული მოსამზადებელი სამუშაოები - სამხედრო ძალების კონცენტრაცია, გადაჯგუფება...**

**მოსკოვის მოთხოვნა დაკავებული ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადიციის შესახებ, ჩანს, ულტიმატუმია. ხოლო საქართველოს უარი ან სერიოზული გაჭიანურება ექსტრადიციისა, ავტომატურად მისცემს ბიძგს სამხედრო ოპერაციის დაწყებას..."** - ასეთი პროგნოზი გამოაქვეყნა რუსეთის პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრმა კვირას, 11 აგვისტოს.

ექსპერტი უშიშროების საკითხებში პაველ ფელგენგაუერი იქვე აღწერდა პანკისში რუსული ჯარის შესვლის შესაძლო გეგმასაც:

**"უახლოეს დღეებში, ალბათ, განაცხადებენ პანკისიდან გილაევის ძალების ახალი მასობრივი შემოჭრის თაობაზე, შემდეგ კი რუსეთი გამოიყენებს "ცხელ კვალზე" დევნის უფლებას და დესანტს საქართველოს ტერიტორიაზე გადაისვრის".**

ამ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, არ ადასტურებს არც ერთი ოფიციალური წყარო.

თუმცა, არაოფიციალური საუბრები კონკრეტული ოპერაციის მზადების შესახებ უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს.

მსგავსი მცდელობა რუსეთმა გასულ კვირას, პრინციპში, უკვე განახორციელა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვერტმფრენი, რომელშიც ემზარ კვიციანი იჯდა, ჩამოგდებას გადაურჩა

ზაზა წულაძე

*პანკისის ხეობაში ესკალაციის შედარებითი შენელების ფონზე, დაძაბულობის კერა კვლავ კოდორის ხეობაში ინაცვლებს. აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, კერძოდ, ბზიფის ხეობიდან, მარუხის უღელტეხილის გავლით, ადანღეს ხეობაში გადმოსული შეიარაღებული რაზმის შესახებ ქართული, აფხაზური და რუსული წყაროები ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციებს ავრცელებენ.*

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა, ემზარ კვიციანმა "24 საათს" ტელეფონით აცნობა, რომ ბზიფის ხეობიდან შემოსულ რაზმში თითქმის 100 კაცი დათვალა, ძირითადად, რუსები, აფხაზები და ჩრდილო კავკასიელები. **"მათ უკვე დაიწყეს სანგრების გათხრა და აშკარად ბრძოლისთვის ემზადებიან, გუშინ გაუხსნეს ცეცხლი ჩვენს ვერტმფრენს, რომელსაც კოდორელებისთვის სურსათი გადმოქონდა. ისინი კოდორის ხეობის სირღმეში, დაახლოებით, 20-25 კილომეტრში არიან შემოჭრილები. ჩვენ ახლა საპასუხო ზომებს ვგეგმავთ. კონკრეტულად რითი ვუპასუხებთ, ამას ამ ორ დღეში გაიგებთ,"** – გვითხრა კვიციანმა.

აფხაზურ-რუსული ფორმირების კოდორის ხეობის ზედა ნაწილში გამოჩენა თავდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა. **"სოფელ ჩხალთადან 25 კილომეტრში, მდინარე აძგარასთან შევნიშნეთ უცხო შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელი, სავარაუდოდ, აფხაზები და რუსები, მათი ზუსტი რიცხვი კი 40-ს არ აღემატება,"** – განაცხადა თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "კოდორის ხეობის" სარდლის მოადგილემ, გიორგი გვარმიანმა. მისივე თქმით, სავარაუდოა, რომ ეს გადაადგილება შეთანხმებული იყო რუსეთის სამშვიდობო ძალებთან.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გივი თარგამაძეს აღმკვეთი ღონისძიება ემუქრება

სოფო ბუკია

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის, გივი თარგამაძის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება. 8 ივლისს, საკუთარი ქორწილის ღამეს მომხდარი ინციდენტი, რომელიც საზოგადოებისთვის "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის შემდეგ გახდა ცნობილი, შეიძლება, თარგამაძეს სამიდან შვიდ წლამდე ციხეში ჯდომად დაუჯდეს. თარგამაძისა და ირაკლი აბაშიძის წინააღმდეგ ქალაქის სამმართველოს საგამოძიებოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ მოქმედებას ხულიგნობის კვალიფიკაცია მიენიჭა.

თარგამაძისა და აბაშიძის მიმართ ეჭვმიტანილობის შესახებ დადგენილებაში წერია, რომ ისინი ხულიგნობის ქვენაგრძნობით, უმიზეზოდ, უმოტივოდ აყენებდნენ დონაძეებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჟორბენაძე პავლიაშვილს საყვედურს დაჰპირდა

"ელექტროკავშირის" კონტრაქტის შემსწავლელი მუშა-ჯგუფი ქონების მართვის სამინისტროს ჯერაც არ შეუქმნია

გვანცა კვინიკაძე

*ხელისუფლება "ელექტროკავშირთან" დაკავშირებული სიტუაციის გარკვევას არ ჩქარობს. სახელმწიფო მინისტრის მკაცრი მითითების მიუხედავად, ქონების მართვის სამინისტროს ამ საკითხის გასარკვევად, "24 საათის" ჟურნალისტების მონაწილეობით, სპეციალური ჯგუფი ჯერაც არ შეუქმნია და, შესაბამისად, არც სხდომები გაუმართავს. არადა, "ელექტროკავშირს", ნორვეგიულ "ტელენორსა" და ოფშორულ "სელფორდს" შორის ხელმოწერილი კონტრაქტის ავკარგიანობასთან დაკავშირებით, ჟორბენაძისთვის დასკვნის წარდგენის შვიდდღიანი ვადა დღეს ამოიწურა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ეი-ი-ეს თელასს„ ფინანსთა სამინისტრო ლობისტად დაუდგა

სოფიკო ოხანაშვილი

*დღეს გადაწყდება, რამდენი თეთრით გაიზრდება დენის ტარიფი.* გუშინ სემეკში გამართული მორიგი სხდომა დენის ტარიფის პრობლემურ საკითხს დაეთმო. სხდომას, "ეი-ი-ეს თელასის" და სემეკის წარმომადგენლების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების და ლეიბორისტული პარტიის წევრებიც ესწრებოდნენ. რადიკალური იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარის, დავით ხუციშვილის პოზიციები. ისინი ხაზგასმით მოითხოვდნენ მხოლოდ ერთს – არ გაიზარდოს დენის ტარიფი. მათი განცხადებით, ამან, შეიძლება, საზოგადოება ქუჩაში გამოიყვანოს. დავით ხუციშვილის განცხადებით, თუ ტარიფი გაიზარდა, პასუხისმგებლობა თავის თავზე პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ უნდა აიღოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | |
| ქუთაისი | 30 | |
| ბათუმი | 29 | |
| სოხუმი | 28 | |
| ფოთი | 28 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 29 | |
| გორი | 28 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1805 |
| ევრო | 2.1154 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3376 |
| რუბლი | 0.0680 |

# ისინი ჩამოვიდნენ უზბიდან

B1




*სტუმრად "24 საათის" რედაქციაში*

მარიკა ამირეჯლაშვილის ფოტო

# უნივერსიტეტის წინააღმდეგ რამდენიმე ახალი სარჩელი მზადდება

ეთერ მამულაშვილი

"უნივერსიტეტში წელს ფილოლოგიურზე ვაბარებდი, მაგრამ ერთი ქულა დამაკლდა, უფრო სწორედ, დამაკლეს. ისტორიის გამოცდაზე კომისიის თავჯდომარის მოადგილემ პირდაპირ მითხრა, რა ვქნა, შვილო, კი გეკუთვნის ათიანი, მაგრამ ცხრაზე მეტს ვერ დაგიწერ, ჩემზე არ არის დამოკიდებულიო. იმას, რასაც მე წელს მისაღებ გამოცდებზე ვუყურებდი, გამოცდების გარდა, ყველაფერი ერქვა. "შპარგალკა", გადაწერა და კარნახი, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. რაც მთავარია, ამას გამომცდელები ამჩნევდნენ, მაგრამ არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ. პირიქით, ზოგიერთი რეპეტიტორი თავის მოსწავლეებს აშკარად ეხმარებოდა", - გვითხრა 18 წლის მარინა სტოროჟეჩკომ. დაახლოებით მსგავს ამბავს ჰყვებიან ის აბიტურიენტები, რომელთაც წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში საბიუჯეტო განყოფილებაზე მოსახვედრად ერთი ან მეტი ქულა დააკლდათ.

თსუ-ზე განაწყენებულებმა მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი ჩამოაყალიბეს. კომიტეტში, ჯერჯერობით, მხოლოდ ოცამდე ადამიანია გაწევრიანებული. როგორც მისმა წევრებმა გვითხრეს, მათი მთავარი მოვალეობაა, უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე, აბიტურიენტთა დარღვეული უფლებების აღდგენა. "თავდაპირველად, სასამართლოს გზით ვეცდებით ჩვენი შვილების შელახული უფლებების რეაბილიტაციას", - გვითხრა ერთ-ერთი

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A4 სამართალი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

# რუსთავი წყლის გარეშე რჩება

დღეიდან რუსთავი, შესაძლებელია, სასმელი წყლის გარეშე დარჩეს. ვიცე-მერის ლევან დუგლაძის ინფორმაციით, მერიამ მიიღო საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის დირექტორის წერილი, რომლითაც ის იუწყება, რომ ელექტროენერგიის დავალიანების გამო, რუსთავის წყალმომარაგებას ელექტროენერგიის მიწოდებას უწყვეტს. ხრამის სათავე ნაგებობის დავალიანება დღეისათვის სამ მილიონ ლარს აჭარბებს. დუგლაძის თქმით, აღნიშნული დავალიანება მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლების მიერ წყლის საფასურის გადაუხდელობამ წარმოშვა. **"რუსთავის მერიის მხრიდან ამ თანხის გადახდა არარეალურია, რადგან თანხის ამოღება მოსახლეობიდან, ფაქტობრივად, შეუძლებელია,"** - აცხადებს იგი.

**ნალჩიკი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ნალჩიკში ყოფნისას განაცხადა, რომ ბოევიკებს, რომლებიც ჩეჩნეთში, ითუმ-ყალეს რაიონში პანკისი ხეობიდან გადავიდნენ, საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული დევნილის მოწმობები აღმოაჩნდათ.

"ზოგიერთ მათგანს ქართულ ენაზე გაფორმებული დევნილის მოწმობები აღმოაჩნდა, ზოგიერთები კი კი ჩეჩნეთში უკვალოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ," – განაცხადა სერგეი ივანოვი.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგვისტოს ბოლომდე აღმოსავლეთის მიმართულებით სწავლებების ჩატარებას აპირებს.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის პრეს-მდივანმა, ნინო სტურუამ განაცხადა. მისი თქმით, "ეს სწავლებები გეგმიური ხასიათისაა".

■ ■ ■

**თბილისი.** ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობას არ მიიღებს აგვისტოს ბოლოს, იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების საკითხებზე მოწვეულ გაეროს სამიტში.

ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტმა ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში.

მისი თქმით, სამიტში მონაწილეობის უდიდესი სურვილის მიუხედავად, სადაც სერიოზულ თემებს განიხილავენ, მან გამგზავრებისაგან თავშეკავების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რამდენადაც პრეზიდენტის ხელმძღვანელობით სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტი სოლიდურ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან, როგორც შევარდნაძემ განაცხადა, ქართული მხარე აღნიშნულ სამიტს აუცილებლად დაესწრება და უფრო სავარაუდოა, რომ ეს დელეგაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი უხელმძღვანელებს, დიდი არ იქნება.

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ის ელჩი საქართველოში, რიჩარდ მაილსი ბლოკ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ლიდერებს მიხეილ სააკაშვილს, დავით ბერძენიშვილს და ზვიად ძიძიგურს შეხვდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს აშშ-ის საელჩოდან აცნობეს, შეხვედრაზე განხილული იყო 2 ივნისს გამართული თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები. საელჩოში აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენების განვითარებას და მოელის, რომ არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები დროულად და გამჭვირვალედ იქნება გადაწყვეტილი, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის ნების სათანადო ასახვას და საშუალებას მისცემს მის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს, შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, რევაზ შავიშვილის გასვლა ამ გაერთიანებიდან პოლიტიკური ნაბიჯი არ ყოფილა და ამის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი "ზედმეტად გაბერილია". დავითაშვილმა თქვა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" დღეისთვის ზეპარტიული მოძრაობაა, რომელიც უახლოეს დროში პოლიტიკურ პარტიად უნდა გარდაიქმნას, აქედან გამომდინარე, ის ხალხი, რომელიც სხვა პარტიის წევრი იყო, ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ველარ იქნება. თუმცა, აღნიშნა მან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საბოლოოდ წავლენ და პოლიტიკური კავშირები გაწყდება.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და რუსეთის საზღვრის დარღვევის ბრალდებით დაკავებული ჩეჩენი მებრძოლების ექსტრადიციის საკითხებთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსული რუსეთის გენპროკურატურის მთავარი პროკურორი, გიორგი წურწუმია საქართველოს გენპროკურატურასთან აქტიურად თანამშრომლობს.როგორც გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსმა, პაატა რცხილაძემ განაცხადა, რუსეთის გენპროკურორის, ვლადიმირ უსტინოვისაგან განსხვავებით, წურწუმია უპირობო ექსტრადიციას არ ითხოვს.

რცხილაძის თქმით, მინსკის კონვენციის თანახმად, ექსტრადიციის საკითხის გადასაწყვეტად რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ უნდა გამოაგზავნოს დაკავებული პირების შესახებ მოქალაქეობის დამადასტურებელი ცნობა, მათი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება, ბრძანება დაპატიმრების შეფარდების თაობაზე, ძებნის გამოცხადების დადგენილება და ამონაწერი სისხლის სამართლის კოდექსიდან, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს ედებათ ბრალი.

თუ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით დახვრეტას ითვალისწინებს, მაშინ საქართველოს, მინსკის კონვენციის თანახმად, უფლება აქვს უარი უთხრას ექსტრადიციაზე, გამოითხოვოს მათი სისხლის სამართლის საქმეები და ისინი აქ გასამართლდნენ რუსეთშიც და საქართველოში ჩადენილი დანაშაულებებისთვის. თუმცა, რცხილაძე აქვე დასძენს, რომ ამჟამად რუსეთში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული.

როგორც რცხილაძე აცხადებს, ქართულ მხარეს ექსტრადიციაზე უარის თქმის უფლება მაშინაც აქვს, თუ ზემოჩამოთვლილი საჭირო დოკუმენტაცია არასრულყოფილად იქნება მოწოდებული, სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი, დადგენილი ნორმების შესაბამისად, საქართველოს დაკავებული ჩეჩნების გადაცემასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ექნება.

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუარესების ფონზე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მკვეთრი კრიტიკით გამოდის და მას გადადგომისაკენ მოუწოდებს. "ერთობა" ორშაბათს გავრცელებულ განცხადებაში ღრმა შეშფოთებას გამოხატავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მდგომარეობის გამო და აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში მათი გამძაფრება ტრაგიკულ ფორმას იძენს, რასაც უმძიმესი შედეგები შეიძლება მოყვეს.

განცხადების ავტორები - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ხელმძღვანელები, ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს თავს მოხვეული "აურაცხელი უბედურების" მიზეზად საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტ შევარდნაძის "აღმაშფოთებელ არაკომპეტენტურობას" მიიჩნევენ.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში იაპონიის ახალი ელჩი ტოშიუკი ფუჯივარა 16 აგვისტოდან ოფიციალურად შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, 16 აგვისტოს იგი რწმუნებათა სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. ფუჯივარას მუდმივი რეზიდენცია ბაქოშია განთავსებული.

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში ახალი ვაგზლის მშენებლობა დაიწყო. ახალი ვაგზალი ბათუმის გარეუბანში, მახინჯაურში, ყოფილი სტადიონის ტერიტორიაზე აშენდება. რკინიგზელთა თქმით, ეს იქნება თანამედროვე სამსართულიანი შენობა, რომლის იერსახე და აღჭურვილობა ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ვაგზალი ერთდროულად 1500-მდე მგზავრს მოემსახურება. ვაგზლის პროექტი შეიმუშავა შპს „დელტაპროექტმა", ხოლო მშენებლობას სააქციო საზოგადოება „საქტრანსმშენი" ახორციელებს.

ბათუმის ვაგზლის მშენებლობა, პროექტის თანახმად, შეფასებულია 9 მილიონ ლარად. ამ სამუშაოებს შპს „ საქართველოს რკინიგზა" აფინანსებს.

ბათუმის ახალი ვაგზალი მომავალი წლის ბოლოსთვის ამოქმედდება.

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აწ გარდაცვლილი ლიდერის გიორგი ჭანტურიას დაბადების დღესთან დაკავშირებით, 19 აგვისტოს ედპ-ში პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო შეიქმნება. როგორც ედპ-ს გენერალურმა მდივანმა, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, მათი პარტია ამ ეტაპზე რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, მათ შორის არც ზურაბ ჟვანიასთან გუნდთან პოლიტიკური ალიანსის შექმნას არ აპირებს; ედპ-ს ოფისში კი პარტიათა შეკრებებმა უკვე ისეთი ინტენსიური სახე მიიღო, რომ საჭირო გახდა მის ერთ კონკრეტულ სტრუქტურად ჩამოყალიბება. საკოორდინაციო საბჭოში გაერთიანებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ „ახლები" და მიზეზად „ზაფხულის არდადეგებს" აცხადებენ. თუმცა, ედპ-ს ლიდერები იმედოვნებენ, რომ „ახლები" `დასვენებულ გონებაზე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და მათ საბჭოს შეუერთდებიან. საკოორდინაციო საბჭოზე განსახილველ საკითხთა შორის უპირველესი საკონსტიტუციო ცვლილებები და საქართველოს ნატოსთან ურთიერთობა იქნება. საბჭო გარკვეული რეგლამენტით იმუშავებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს პარლამენტს წარუდგენს.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, საფასურის გადაუხდელობის გამო, რეგიონების წყალკანალის ობიექტებს 13 აგვისტოდან ელექტროენერგიის მიწოდებას შეუზღუდავს. ენერგოკომპანიის ინფორმაციით, შეზღუდვები შეეხება რუსთავის, წყალტუბოს, სენაკის, ქუთაისის, თერჯოლის, ჭიათურის, ზესტაფონის, საჩხერის წყალკანალებს; აგრეთვე, დუშეთისა და ჟინვალის კომუნალურ მეურნეობებს.

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სამსახური, რომელსაც შუქნიშნების, საგზაო ნიშნების მოწესრიგება-რეგულირება და საავტომობილო გზების დახაზვა ევალება, მალე დედაქალაქის მერიის დაქვემდებარებაში გადავა. დედაქალაქის მერიის საავტომობილო ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ სამსახურს შსს შესაბამისად ვერ აფინანსებს, რის გამოც, ავტოტრანსპორტის ჭარბი ნაკადის შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის თვალსაზრისით, დედაქალაქში ბევრი პრობლემა იქმნება.

# გივი თარგამაძეს აღმკვეთი ღონისძიება ემუქრება

პირველი გვერდიდან

თარგამაძის ადვოკატი, ეკა ბესელია ვაკე-საბურთალოს სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მანამდე კი ბესელია ჟურნალისტებს ხვდება და გივი თარგამაძისა და მისი მეგობრების მიმართ სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე საუბრობს.

**"დარწმუნებული ვარ, რომ არა გივი თარგამაძის პიროვნება, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არც აღიძრებოდა, ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. საქმე შემთხვევიდან მხოლოდ ორი დღის შემდეგ აღიძრა და სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ამ საქმეში შსს-სა და გენერალური პროკურატურის ხელი ურევია,"** - აცხადებს ბესელია.

შეგახსენებთ: შაბათს, 8 ივლისს, თარგამაძის ქორწილიდან მომავალი ირაკლი აბაშიძე დილმის გზაზე დაეჯახა ვინმე დონაძის მანქანას, რომელიც პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა. შემთხვევის ადგილზე საგზაო პოლიციის რამდენიმე ჯგუფი მივიდა. როგორც ეკა ბესელია აცხადებს, აბაშიძეს გივი თარგამაძესთან დარეკვა თავად პოლიციელებმა ურჩიეს, რაც, ადვოკატის აზრით, თავისთავად ეჭვს იწვევს. ასე აღმოჩნდა თარგამაძე შემთხვევის ადგილას, სადაც ხელჩართული ჩხუბი გაიმართა.

ბესელიას განცხადებით, ვინაიდან დავით დონაძე პოლიციელია, ამ საქმეს ქალაქის სამმართველოს საგამოძიებო არ უნდა იძიებდეს, რადგან, მისი თქმით, ამ შემთხვევაში გარდაუვალია ტენდენციურობა საკუთარი კოლეგის სასარგებლოდ.



*გივი თარგამაძის ადვოკატი ეკა ბესელია* იური ლობოდინის ფოტო

საგამოძიებო სამმართველოს საქმიდან აცილებისა და დონაძეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, ეკა ბესელიამ ქალაქის პროკურატურას მიმართა. პასუხად კი ორივე მოთხოვნაზე უარი მიიღო. **"პროცესუალური დოკუმენტიც არ გაიმეტეს, უბრალოდ, წერილი გამოაგზავნეს, რომელიც, შეიძლება, სამართალდამცველთა უკანონო ქმედების ნიმუშად გამოცხადდეს,"** – აცხადებს ადვოკატი. მისი თქმით, დონაძეების წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე უარის თქმის უფლება ქალაქის პროკურატურას არ ჰქონდა, მას ან უნდა აღეძრა საქმე, ან საქმის მასალები ვაკე-საბურთალოს სასამართლოსთვის გადაეგზავნა.

საგამოძიებომ ერთხელ უკვე გამოიტანა აბაშიძისა და თარგამაძის მიმართ ბრალის დადგენილება. **"ჩვენ 8 აგვისტოს დაგვიბარეს და მთლიანად გაყალბებული ბრალის დადგენილება გაგვაცნეს. ეს მათ თარგამაძისა და აბაშიძის დაპატიმრების საშუალებას აძლევდა. შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რაც ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა და არც სხვისგან მსმენია. როცა სერიოზულად აღვშფოთდით და ქალაქის პროკურორთან შეხვედრა მოვითხოვეთ, ხუთ წუთში პოზიცია შეიცვალეს და ორივე ბრალის დადგენილება გააქრეს,"** - აცხადებს ბესელია. **"გამომძიებელმა პაატა ბუჩუკურმა მომცა ბრალის დადგენილება და რატომღაც მერე თვითონვე მომპარა,"** - იხსენებს თარგამაძე.

მისი თქმით, ბრალის დადგენილებას ირაკლი აბაშიძის ხელმოწერა ერთვის, რაც სამართალდამცავებს მისი დაკავების შესაძლებლობას აძლევს. თარგამაძეს ამ დადგენილებაზე ხელი არ მოუწერია, თუმცა, თუ აბაშიძე დააკავეს, მასაც ავტომატურად იგივე ბედი ელის, რადგან აღნიშნულ საქმეში ორივე ერთნაირად ფიგურირებს.

გივი თარგამაძისგან შევიტყვეთ, რომ ირაკლი აბაშიძე გუშინ საგამოძიებო სამმართველოში დაიბარეს, შეადგინეს ოქმი და კიდევ ერთხელ წაუყენეს ბრალი. სამართალდამცავები აცხადებენ, რომ მათ მიერ გადადგმული შემდეგი ნაბიჯი აღმკვეთი ღონისძიება იქნება, რომლის ნებართვასაც ისინი სასამართლოს სთხოვენ. გუშინ აბაშიძე ხელწერილით გაათავისუფლეს. **"აბაშიძე მარტო დაიბარეს, ჩემთვის არ უთქვამთ, იმიტომ, რომ საკუთარი უკანონო ქმედებები პრესას აარიდეს,"** - დარწმუნებულია თარგამაძე.

# წელს ჯარში წასაყვანი აღარავინ დარჩა

თეა გილიგაშვილი

სამხედრო კომისარიატებმა საგაზაფხულო გაწვევის გეგმა ვერ შეასრულეს და ვადამ 31 აგვისტომდე გადაიწია. ოფიციალური მონაცემებით, წელს წვევამდელის ასაკს 90 ათასი ახალგაზრდა აღწევდა. მას შემდეგ კი, რაც გაწვევა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ მათგან **19 464** გასულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, **17 775** არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, **341** ითხოვს ალტერნატიულ სამსახურს, რომელიც ჯერ არ არსებობს, **840** ახალგაზრდა ნასამართლევია და გაწვევას არ ექვემდებარება, **40 ათასამდე** კი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სამხედრო კათედრები მუშაობს. გამოდის, რომ 90 ათასი ახალგაზრდიდან მხოლოდ 10 პროცენტი რჩება ჯარში წასაყვანი, თუმცა, მათი სრულად გაწვევაც შეუძლებელია, რადგან ამ დარჩენილ ნაწილში შედიან დედისერთები, ცოლ-შვილიანები და სამხედრო სამსახურისთვის არავარგისი ახალგაზრდები. ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" მონაცემებით, ბოლო წლების მანძილზე ჯარში მიჰყავთ საერთო გასაწვევი კონტიგენტის მხოლოდ 5-6 პროცენტი.

გასაწვევი და გაწვეული ახალგაზრდების რაოდენობას შორის დიდი ზღვარი სამხედრო კომისარიატებში კორუფციისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. საეჭვოა, ამ მდგომარეობას ცოტა ხნის წინ არაოფიციალური ქრთამის ოფიციალურ ბეგარად - გაწვევის გადასავადებლად 200 ლარის - დაკანონებამ უშველოს. კანონში ეს ცვლილება, ალბათ, ვერ შეცვლის არმიაში ახალწვეულთა სოციალურ და ინტელექტუალურ მდგომარეობას. ჯარში კვლავ ისინი მოხვდებიან, ვინც არც სადმე სწავლობს და არც ამ 200 ლარის გადახდა შეუძლია. საერთო მონაცემებით, ჯარისკაცთა 30 პროცენტს სრული საშუალო განათლებაც კი არ აქვს.

# "პანკისში შესვლა რუსეთისთვის კარგად არ დამთავრდება"

პირველი გვერდიდან

ქართულმა სპეცსამსახურებმაც და უშიშროების საბჭომაც, საზღვრის დარღვევების გახშირებულ ფაქტებთან დაკავშირებით, გაავრცელეს ინფორმაცია, რომ **"რუსეთი ჩეჩენ მებრძოლებს საქართველოსკენ მიზანმიმართულად უშვებს"**.

ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოს დაბომბვის ფაქტებიც.

ამ ფონზე, ზუსტად ათი დღის წინ, სერგეი დორენკოს ხელმძღვანელობით შექმნილი "პოლიტიკური ინფორმაციის სააგენტო" (გაიხსენეთ ბერეზოვსკისა და დორენკოს "მეგობრობის" ფაქტი), ავრცელებს ინფორმაციას პანკისში რუსეთის ჯარის შესვლის შესახებ.

პოლიტიკური ინფორმაციის სააგენტო 2 აგვისტოს, ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით, ირწმუნებოდა, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს ხელმძღვანელის, ალექსანდრ რუკშინის ხელმძღვანელობით, მზადდება პანკისის ხეობაში დისლოცირებულ ჩეჩენ ბოევიკთა განადგურების გეგმა. ინფორმაციის თანახმად, გეგმაში გათვალისწინებული გახლდათ საჰაერო თავდასხმები და სპეცრაზმის შეშვება ხეობაში.

ამ გეგმის რეალურობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს. რუსი ანალიტიკოსები ადასტურებენ, რომ საქართველოს მიერ საზღვრის დამრღვევთა დაპატიმრებამ, დაბომბვებზე ეუთოს საკმაოდ მკაცრმა რეაქციამ და აშშ-ს პოზიციამ რუსეთი დაარწმუნა, რომ ოფიციალურ მანდატს, პანკისში საომარი მოქმედებების განსახორციელებლად, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ვერ მიიღებს.

ამის შემდეგ, უკვე 11 აგვისტოს, რუსეთის ერთ-ერთი გავლენიანი ანალიტიკური ფონდი - პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრი - გამოთქვამს პროგნოზს, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ და რომელშიც კვლავ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ თავდასხმაზეა საუბარი.

ამ პროგნოზს ემთხვევა რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის ვიზიტი რუსეთის სამხრეთ საზღვარზე.

გუშინ იგი შეხვდა და საქართველოდან შეჭრილი ჩეჩენი ბოევიკების ნეიტრალიზებისთვის მადლობა გადაუხადა ინგუშეთში "საზღვრის გასამაგრებლად გადასროლილ" ახალ მოტომსროლელთა პოლკს.

სერგეი ივანოვმა ტრადიციას გუშინაც არ უღალატა და საქართველოს ხელისუფლების მისამართით კვლავ საკმაოდ მკაცრი და მრავალმნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა:

ივანოვის მტკიცებით, პანკისის ხეობიდან შეჭრილ "ბოევიკთა" ნაწილს აღმოაჩნდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემული ლტოლვილთა მოწმობები ქართულ ენაზე. **"ბევრი მათგანი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის ირიცხებოდა,"** - განაცხადა ივანოვმა.

მანვე გუშინ გაიხსენა ედუარდ შევარდნაძის სამი წლის წინანდელი დაპირება: **"სამი წლის წინ, 1999 წლის აგვისტოში, სატელეფონო საუბარში რუსეთის პრეზიდენტმა შევარდნაძეს სთხოვა რუსული სპეცრაზმის და შინაგანი ჯარის შეშვება პანკისში საზღვრის გასამაგრებლად. მაშინ შევარდნაძე დაეთანხმა ელცინს, თუმცა, მომდევნო დღეს დაურეკა და უარი უთხრა. შედეგად ჩვენ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ..."**

მსგავსი განცხადებებით რუსეთის სამხედრო უწყება უკვე კარგა ხანია, უქმნის ფონს საქართველოს წინააღმდეგ განსახორციელებელ შესაძლო ოპერაციას.

გუშინ პანკისის ხეობაში იმყოფებოდა საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. მისი ვიზიტის ოფიციალური მიზანი "ხადურჰესის" მონახულება გახლდათ.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტი "ნაწილობრივ გამოეხმაურა" ივანოვის ბოლოდროინდელ გამოსვლებს და აღნიშნა, რომ მათ კომენტარს პრეზიდენტი კი არა, შესაბამისი ქართული სტრუქტურები უნდა უკეთებდნენ.

აქვე საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ **"საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა პანკისში ახალი "ცხელი წერტილი" არ წარმოიშვას"**, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ეს აუცილებლად "საკუთარი ძალებით" მოხერხდება.

ქართული მხარის ასეთი "თავდაჯერებული" და აუღელვებელი პოზიციის ფონზე, მით უმეტეს, კოდორის გუშინდელი მოვლენების გათვალისწინებით, საინტერესოა ზემოთ უკვე მოხსენებული "პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის" ექსპერტის, პაველ ფელგენგაუერის პროგნოზი, შესაძლო სამხედრო ოპერაციის შედეგების შესახებ:

**"თუ გადაწყდა დესანტის გადასხმა პანკისში, წინდაწინვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პანკისის ოპერაცია რუსეთისთვის კარგად არ დამთავრდება. რა თქმა უნდა, დაიღუპება ჩეჩენ ბოევიკთა გარკვეული რაოდენობა. დაიღუპებიან ასევე ჩვენებიც, მით უმეტეს, თუ ქართული ვერტმფრენები სარაკეტო დარტყმას მიიტანენ დესანტზე.**

**უკვე ცხადია, რომ დასავლეთი და აშშ აქტიურად უჭერენ მხარს შევარდნაძეს. ისინი არ მისცემენ რუსეთს პანკისში წმენდის უპრობლემოდ ჩატარების საშუალებას. ამასთან, კავკასიური ომის სერიოზულად გაფართოების შემთხვევაში, რუსეთს ამ ომის მოგების რესურსი დღეს არ გააჩნია.**

**ასე რომ, პანკისიდან წასვლა გილაევის განადგურების გარეშე მოგვიხდება. მოგვიწევს ხალხისა და სახის დაკარგვაც. შესაძლოა, დაგვჭირდეს რუსული ბაზების სასწრაფო ევაკუირებაც საქართველოდან. დასავლეთთან ურთიერთობაც სერიოზულად გაგვიფუჭდება. თუმცა, შესაძლოა, სწორედ ეს არის პანკისის მეტისმეტად გაბერილი პრობლემის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. რუსეთში ხომ საკმარისად ბევრია ისეთი გავლენიანი ძალა, რომელსაც აშშ-სთან დაახლოების პროცესის შეჩერება სურს".**

# ვერტმფრენი, რომელშიც ემზარ კვიციანი იჯდა, ჩამოგდებას გადაურჩა

პირველი გვერდიდან

უშიშროების სამინიტროს პრესცენტის უფროსმა, ნიკა ლალიაშვილმა კი გვითხრა, რომ **"ბაშქუტარის მჟავე წყლების მიდამოებში 80-მდე შეიარაღებულმა პირმა გაშალა კარვები, ეს კი პირობითი საზღვრის ტერიტორიაა".**

მარუხის უღელტეხილზე უცხო შეიარაღებული რაზმის გადაადგილებას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტიც, თუმცა, დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსი, შალვა ლონდარიძე იქ ახალი დაძაბულობის კერის გაჩენას კატეგორიულად უარყოფს. **"ადანღეს ხეობაში სიტუაცია უკვე განიმუხტა, ეს რაზმი მართლაც მოძრაობდა მარუხის უღელტეხილის მიდამოებში, მაგრამ მას აფხაზეთსა და კოდორის ხეობას შორის პირობითი საზღვარი არ გადმოულახავს. მათი რაოდენობა, მესაზღვრეების მონაცემებით, 30-40 კაცს არ აღემატებოდა. ამ რაზმმა უკან, ბზიფის ხეობაში დაიხია. სასაზღვრო ჯარების შტაბის უფროსი, კორნელი სალია ადგილზე იმყოფებოდა ამ ინციდენტის გასარკვევად. ეს არის სიმართლე, იმ ინფორმაციის შესახებ, რასაც ემზარ კვიციანი ავრცელებს, მე კომენტარს ვერ გავაკეთებ,"** – გვითხრა ლონდარიძემ.

კოდორის ხეობის ზედა ნაწილში აფხაზური შენაერთების გადაადგილებას ადასტურებს სოხუმის ხელისუფლებაც, თუმცა, კატეგორიულად უარყოფს, რომ აფხაზები კოდორის ხეობაზე თავდასასხმელად ემზადებიან. **"ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, მცირე ძალებით ჩაგვეკეტა მთის ბილიკები, რომლებიც სვანეთს, კოდორის ხეობას და აფხაზეთს ერთმანეთთან აკავშირებენ,"** – გუშინ ოპერატიულ თათბირზე აღნიშნა სოხუმის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა, რაულ ხაჯიმბამ. **"კოდორის ზედა ნაწილში აფხაზური არმიის არც ერთი დიდი ნაწილი არ გადაადგილებულა, მით უმეტეს – ასეული,"** – თქვა ხაჯინბამ. სოხუმის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტმა, ვალერი არშბამ კი არ გამორიცხა, რომ **"ქართული მხარის პროვოკაციულმა განცხადებებმა, შესაძლოა, კონფლიქტის ზონაში ვითარება გაართულოს".**

ერთადერთი, რასაც აფხაზური მხარე ადასტურებს, გუშინ დილით ქართული ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტია. სოხუმის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას განცხადებით, **"კოდორის ხეობასთან ახლოს დისლოცირებულმა ჩვენმა სამხედროებმა მართლაც გაუხსნეს ცეცხლი საქართველოს ვერტმფრენს. მაგრამ ეს იყო არა სატრანსპორტო, არამედ ამერიკელების მიერ საქართველოსთვის ნაჩუქარი "იროკეზის" ტიპის სამხედრო ვერტმფრენი", რომელიც რეგულარულად ამარაგებს კოდორში მყოფ უკანონო ქართულ ფორმირებებს იარაღით, ეკიპირებითა და სურსათით".** ჩვენი ინფორმაციით კი ეს ვერტმფრენი არ იყო "იროკეზი" და მასში კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი იჯდა.

გუშინ სიტუაციის განმუხტვას დაპირისპირებული მხარეები გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის, ჰეიდი ტალიავინის მეშვეობით ცდილობდნენ, დღეს კი ამ პროცესში სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია ჩაერთვებიან, რომლებიც ერთმანეთს ჭუბურხინჯში შეხვდებიან.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# „ეი-ი-ეს თელასს" ფინანსთა სამინისტრო ლობისტად დაუდგა

პირველი გვერდიდან

**"ტარიფის გაზრდას ხშირად სახელმწიფოები გადატრიალებამდეც კი მიუყვანია. თქვენ დაიცავით საზოგადოების ინტერესები, ნუ აიძულებთ ხალხს, თვითონ დაიცვას თავისი უფლებები, იმიტომ, რომ არავინ იცის, ეს რა ფორმას მიიღებს. მშვიდობიანად რომ არ ჩაივლის, ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ",** - აღშფოთება ვერ დამალა ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარემ.

**"თავდაპირველად, ჩვენ ტარიფის 2,86 თეთრით გაზრდას ვითხოვდით, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ინფლაციით და იმ ჭარბი დანახარჯებით, რაც ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში გვქონდა",** - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენელმა, ქეთი მსხილაძემ. "ეი-ი-ეს თელასის" ამ მოთხოვნამ არასამთავრობო ორგანიზაციების აღშფოთება გამოიწვია.

საზოგადოების შეშფოთება სემეკმაც გაიზიარა. 2002 წლის მაისში, სემეკის სპეციალისტებთან ერთად, მუშაობა დაიწყო დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ - "კონსაუდმა". დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ეს ერთობლივი მუშა ჯგუფი "ეი-ი-ეს თელასში" აუდიტს აწარმოებდა. ამის პარალელურად, მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. კომისიის დასკვნისა და მოლაპარაკებების შედეგად, "ეი-ი-ეს თელასმა" ტარიფის გაზრდის მოთხოვნა 1,6 თეთრამდე შეამცირა.

ტარიფის გაზრდის აუცილებლობას არც კომიისიის წარმომადგენლები უარყოფენ. უფრო მეტიც, ისინი ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით "ეი-ი-ეს თელასის" არგუმენტებსაც ეთანხმებიან. **"საფუძველი, რომლის თანახმადაც ტარიფი არ უნდა გაზრდილიყო ან უცვლელი დარჩენილიყო, არ არსებობს. რეალურად არსებობს ინფლაცია, რეალურად არსებობს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამომხმარებლო კალათა გაზრდილია, ეს კომპონენტი თავისთავად გასათვალისწინებელია, რადგანაც, სამომხმარებლო კალათის ზრდასთან ერთად, ტარიფიც უნდა გაიზარდოს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ჭარბი ინვესტიციებიც, რომლებიც 1999-ში, 2000-სა და 2001-შიც განხორციელდა. საერთო რაოდენობამ 25 მილიონ ლარს მიაღწია. ამას ვერ გავექცევით,"** - განაცხადა დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის, "კონსაუდის" გენერალურმა დირექტორმა, რევაზ ძაძამიამ. მაგრამ, გარკვეულ ასპექტებში აზრთა თანხვედრის მიუხედავად, არსებობს სერიოზული საკითხი, რომელთან მიმართებაშიც მხარეთა მოსაზრება ერთმანეთისგან განსხვავდება. კერძოდ, რევაზ ძაძამიას ინფორმაციით, ისინი არ ეთანხმებიან დენის ტარიფის იმ ოდენობით გაზრდას, რასაც "ეი-ი-ეს თელასი" ითხოვს. **"მე არ ვეთანხმები იმ ოდენობას, რასაც "ეი-ი-ეს თელასი" ითხოვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ტარიფის გაზრდა აუცილებელია ხელშეკრულების პირობებიდან და ფინანსური ინფორმაციიდან გამომდინარე",** - ხაზგასმით აღნიშნა ძაძამიამ. "ეი-ი-ეს თელასში" ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, კომისია ტარიფის გაზრდას მხოლოდ 0,97 თეთრით მიიჩნევს სამართლიანად, რასაც, თავის მხრივ, "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლობა არ ეთანხმება. **"მას შემდეგ, რაც ჩვენ სემეკში შევიტანეთ განაცხადი ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, "ეი-ი-ეს თელასში" აუდიტის ჩასატარებლად მოწვეული იქნა აუდიტორული ფირმა "კონსაუდი". მუშაობის საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ "თელასმა" ტარიფი რეალურად მხოლოდ 0,97 თეთრით უნდა გაზარდოს, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. სემეკში წარვადგინეთ წერილი, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო ადასტურებს. ამ წერილის თანახმად, საგადასახადო კოდექსში 1999 და 2000 წლის ბოლოს შეტანილმა ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფირმას აქვს ტარიფის გაზრდის უფლება, რათა დანახარჯები დაფაროს",** - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" კომერციულმა დირექტორმა, გალიმ ალნიაზოვმა. ფინანსთა სამინისტროს წერილი მოულოდნელი აღმოჩნდა სემეკის ხელმძღვანელობისთვისაც. ამ წერილის არსებობა ელიზბარ ერისთავისთვის მხოლოდ სამი დღის წინ გახდა ცნობილი. ახალმა დოკუმენტმა ახალი საფიქრალიც გაუჩინა სემეკის ხელმძღვანელს, რადგანაც წერილში აღნიშნული საკითხები დამატებით შეხვედრებს და მოლაპარაკებების გამართვას საჭიროებს. **"ჩვენთვის ამ წერილის არსებობა სამი დღის წინ გახდა ცნობილი. ამას კიდევ სჭირდება ერთმანეთთან შეხვედრა. ხვალ შედგება ეს შეხვედრა და მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას",** - განაცხადა ელიზბარ ერისთავმა. ის, აგრეთვე, არ გამორიცხავს იმასაც, რომ ამ წერილმა, შეიძლება, იმდენად სერიოზული დატვირთვა შეიძინოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაზეც მოახდინოს გავლენა. **"არ გამოვრიცხავ, რომ ამ წერილმა, შეიძლება, გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს. იმიტომ, რომ ამას ჩაუსხდებიან იურისტები, აუდიტორები, შეიძლება, დაგვჭირდეს დამატებითი კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროსთან. ციფრებთან გვაქვს საქმე. ციფრები თუ არ გადამოწმდა, ისე გადაწყვეტილების მიღება ძნელია,"** – განაცხადა ერისთავმა.

ტარიფის გაზრდის გარდა, არასამთავრობო სექტორის სერიოზული აღშფოთების მიზეზი ისიც გახდა, რომ "ეი-ი-ეს თელასს" მომხმარებელთან ჯერ კიდევ არა აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული. შექმნილ მდგომარეობაში დავით ხუციშვილმა სემეკის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა. ელიზბარ ერისთავმა აღელვებული საზოგადოების დამშვიდება იმით სცადა, რომ განაცხადა: **"ეს პრობლემა უახლოეს მომავალში გადაწყდება".**



სემეკ-ის ხელმძღვანელობას საფიქრალი გაუჩნდა — ლევან ხერხეულიძის ფოტო

# „იტერა" „თბილგაზის" ბედზე იწყებს მსჯელობას

მაია ურუშაძე

*დღეს თბილისში "იტერა-ჰოლდინგის" დირექტორის, ვალერი ოტჩერცოვის მიერ წარგზავნილი - "იტერას" ენერგეტიკული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიხაილ პოტაპენკო ჩამოდის.* "იტერასთან" მოლაპარაკებების პერსპექტივების შესახებ "24 საათმა" კომენტარი სთხოვა სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, აკაკი ზოიძეს, "იტერას" წარმომადგენელს საქართველოში, თამაზ პატარიძეს და "საქტრანსგაზმრეწვის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, ივანე ზაზაშვილს, რომელსაც "თბილგაზის" რეაბილიტაციის საკუთარი პროექტი აქვს.

აკაკი ზოიძე: **"მომავალი საწარმოს შექნის შესახებ არის კონკრეტული წინადადებები ორივე მხრიდან. საქართველოს მხარის მთავარი ამოცანაა, შეიქმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზამთარში გაზის სტაბილურ მოწოდებას. გარდა ამისა, სექტორი მთლიანად "იტერამ" არ უნდა გააკონტროლოს. ერთობლივი საწარმოს შექმნის შემთხვევაში, საქართველო შეინარჩუნებს კონტროლს. "იტერამ" 60 პროცენტიც რომ მიიღოს, მთავარია, სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წილი და თავისი სიტყვა ეთქმოდეს კომპანიის მმართველობაში. ხელშეკრულებაში იქნება პუნქტი, რომ თუ გაზის მოწოდების უფრო იაფი წყარო გამოჩნდება, ერთობლივი საწარმო მასზე აიღებს ორიენტაციას. ერთიც: ჩვენ რეალურად უნდა გვქონდეს გაზსადენების რეაბილიტაციის გარანტია. "იტერა" საწარმოში ჩადებს "საქგაზს", რომელიც მას ეკუთვნის და 16 მილიონ დოლარამდე ღირს. ანალოგიურად, 16 მილიონია სახელმწიფოს წილიც: "თბილგაზი", "მარნეულიგაზი", "ყაზბეგიგაზი" და ასე შემდეგ."**

თამაზ პატარიძე: **"იტერასთან" საუბარი სამ საკითხზეა: ვალების რესტრუქტურიზაცია, ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბება და "აზოტთან" შემდგომი ურთიერთობის საკითხი. ერთობლივი საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით ვალდებულებები ორივე მხარემ უნდა დააფიქსიროს. "იტერას" აქტივები საქართველოში ("საქგაზის" სახით) 16 მილიონ დოლარს შეადგენს. მართალია, ვალებისა და ერთობლივი საწარმოს საკითხი ცალ-ცალკე განიხილება (თუ ვალები "აზოტს" დაუგროვდა, "თბილგაზი" რა შუაშია), მაგრამ განსახილველია, თუ რა კუთხით იქნება ვალები რესტრუქტურიზებული. "იტერას" საწარმოში აქტივები შეაქვს, თუმცა, აქტივების ერთ-ერთი სახეა ვალებიც. "იტერა" პასუხისმგებლობას იღებს, რომ გაზის ყიდვასაც უზრუნველყოფს და არც ტარიფს გაზრდის, თუ ტრანზიტის ფასები არ გაიზარდა."**

ივანე ზაზაშვილი: **"ჯორბენაძემ მოგვიწოდა, რომ შევქმნათ პროფესიონალების ტექნიკური კომისია, რომელიც განიხილავს "თბილგაზთან" დაკავშირებულ ყველა პროექტს, სუფთა ეკონომიკური მიზნები ექნება და ობიექტურად მიუდგება "თბილგაზის" პრობლემას. მიმაჩნია, რომ კომისია უნდა იყოს ობიექტური და, თუ "იტერასთან" შედარებით, უკეთესი წინადადებები გვექნება, ჩვენ მოგვანიჭოს უპირატესობა. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ "იტერას," საქართველოსთან ერთობლივ საწარმოში, საკონტროლო პაკეტი ჰქონდეს. ჩვენი პროექტი "საქტრანსგაზმრეწვისა" და "თბილგაზის" ერთობლივი ნაშრომია, ქალაქში გაზის მოწოდების მთლიანად აღდგენასა და სტაბილური გაზმომარაგების უზრუნველყოფას ითვალისწინებს და 27,5 მილიონი დოლარი ჯდება. ეს თანხა თბილისის გაზსადენებს მომგებიანს გახდის. ყველაფერი დავიანგარიშეთ და თუ ჯიბგირები არ აღმოვჩნდით, პროექტი გაამართლებს. რეაბილიტაციის სხვა პროექტი აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს, "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, გოჩიტაშვილს. ამ პროექტს თავიდან 4,5 მილიონი დოლარი დასჭირდება, შემდეგ კი - 11,5 მილიონი დოლარი. მე წერილი მივწერე "იტერას" პრეზიდენტს და ჩვენი წინადადებების ერთობლივი განხილვა შევთავაზე. არ არის გამორიცხული, გავერთიანდეთ. მთავარი ფაქტორი ეკონომიკა უნდა იყოს."**

"თბილგაზში" გვაცნობეს, რომ ამ კომპანიის პაკეტი ჯორბენაძესთან პოტაპენკოს ვიზიტის დროს გაიხსნება. როგორც ცნობილია, "თბილგაზი" მთლიანად ჩაიდება მომავალი ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში. შეავსებს თუ არა 16 მილიონ დოლარამდე ამ თანხას "მარნეულიგაზის", "ყაზბეგიგაზის", "დუშეთიგაზისა" და სხვა მცირე საწარმოთა ღირებულება, ამ დღეებში გაირკვევა. დარგის ექსპერტების მიერ გაკეთებული პროგნოზების მიხედვით, "იტერასთან" მოლაპარაკებებში დათმობაზე წასვლის შემთხვევაში, ქართულმა მხარემ, შეიძლება, საერთოდ დაკარგოს გაზის სექტორის მართვის ბერკეტები.

# ჯორბენაძე პავლიაშვილს საყვედურს დაჰპირდა

პირველი გვერდიდან

"24 საათი" მთელი კვირის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ქონების მართვის მინისტრთან, სოლომონ პავლიაშვილთან დაკავშირებას. გუშინ კი მუშა-ჯგუფის თაობაზე მცირედი ინფორმაცია სამინისტროს პრეს-სამსახურისგან, ისიც მხოლოდ ჩვენი ინიციატივით შემდგარი სატელეფონო საუბრის წყალობით, მივიღეთ.

როგორც ჩანს, სახელმწიფო მინისტრი იმდენად იყო თავისი მითითების უცილობლად შესრულებაში დარწმუნებული, რომ ამ პროცესისთვის თვალყური აღარ უდევნებია. არადა, აღმოჩნდა, რომ ავთანდილ ჯორბენაძესთან წინა ოთხშაბათს გამართული საკმაოდ ხმაურიანი და დაძაბული შეხვედრის შემდეგ, რომელზეც მან ზემოხსენებული მუშა-ჯგუფის შექმნა მოითხოვა, მისი დავალება არ შესრულებულა. იმის ნაცვლად, რომ საქმე ჯორბენაძისგან "ელექტროკავშირის" საკითხზე დასკვნის დადებამდე იყოს მიყვანილი, ქონების მართვის სამინისტრო კომისიის შეკრებების ჩატარებაზე ზრუნვას ახლა იწყებს, რამდენად სერიოზულად - უახლოეს დღეებში გამოჩნდება. ავთანდილ ჯორბენაძე, "24 საათთან" საუბრისას, საკითხზე მუშაობის პროცესის გაჭიანურების გამო, სოლომონ პავლიაშვილს საყვედურს დაჰპირდა.

ქონების მართვის სამინისტროში ასეთ უგულისყურობას გარკვეული ტექნიკური მიზეზებითა და მინისტრის მოადგილის, გენო მალაზონიას თბილისში არყოფნით ხსნიან. სამინისტროში ვარაუდობენ, რომ მუშა-ჯგუფის პირველი შეხვედრა, შესაძლოა, ხვალ გაიმართოს. ეს, ალბათ, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უკვე ხსენებული პრობლემები მოგვარდება და მინისტრის მოადგილეც თბილისში დაბრუნდება. სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილია მუშა-ჯგუფის რამდენიმე სხდომის ჩატარება, თუმცა, წინასწარვე ცნობილია, რომ სოლომონ პავლიაშვილი ყველა მათგანს ვერ დაესწრება. გაურკვეველია მუშა-ჯგუფის ზუსტი შემადგენლობაც. "ელექტროკავშირის" საკითხისადმი სერიოზული დაინტერესება არასამთავრობო ორგანიზაციებმაც დაადასტურეს და, მოსალოდნელია, რომ ჯგუფის მუშაობაში ისინიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

## უცხოეთი

# აზიის ყავისფერი ღრუბელი



სმოგი



26 აგვისტოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი სამიტი იმართება, რომელშიც მსოფლიოს 160 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. სამიტის წინ მეცნიერები ცდილობენ, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ იმ საფრთხეს, რომელსაც გლობალური დათბობა, გარემოს დაბინძურება და სხვა ეკოლოგიური ცვლილებები უქმნის პლანეტას.

ორშაბათს გაერო-ს გარემოს დაცვითმა სააგენტომ ახალი მოხსენება წარადგინა, რომელიც ე.წ. "აზიის ყავისფერ ღრუბელს" შეეხება. "ინდოეთის ოკეანის ექსპერიმენტად" წოდებული კვლევის მონაწილე 200-მდე მეცნიერი 1995 წლიდან მოყოლებული აკვირდებოდა ამ 3 კილომეტრი სისქის გიგანტურ სმოგს, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში ათასობით კვადრატულ კილომეტრს ფარავს.

მეცნიერების განცხადებით, გამოკვლევის შედეგები საგანგაშო აღმოჩნდა. სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის, კლაუს ტოპფერის თქმით, "ჩვენ უკვე სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ სახეზეა აზიის თავზე ატმოსფეროს დამაბინძურებული ნაწილაკებისა და აეროზოლების უაღრესად სახიფათო კონცენტრაცია". კლიმატოლოგების აზრით, ეს პრობლემა მხოლოდ აზიას არ ეხება, რადგან ყავისფერ ღრუბელს ერთი კვირის ვადაში შეუძლია, პლანეტის ნებისმიერ წერტილს მიაღწიოს.

ღრუბლის წარმოქმნის მთავარ მიზეზად ატმოსფეროში წვის შედეგად გამოყოფილი გამონაბოლქვის დაგროვება მიიჩნევა. საინტერესოა, რომ, მკვლევარების აზრით, ხისა და ბიომასის წვა ისევეა დამნაშავე ღრუბლის წარმოქმნაში, როგორც ავტომობილებისა და ელექტროსადგურების გამონაბოლქვი.

ყავისფერი ღრუბლის სქელი ფენა, რომელიც გამონაბოლქვი გაზების, კვამლის, აეროზოლებისა და მჟავებისაგან შედგება, 10 პროცენტით ამცირებს მზის ნათებას და დედამიწის ზედაპირს აგრილებს. ამავე დროს, იგივე ღრუბელი ატმოსფეროს ზედმეტად ახურებს. ეს ორი ფაქტორი ერთად კატასტროფულად ამცირებს ნალექების რაოდენობას უშუალოდ ღრუბლის ქვეშ და ზრდის მის გარშემო. ბანგლადეშში, ნეპალსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში ბოლო დროს მომხდარი წყალდიდობები, შესაძლოა, სწორედ ამ სმოგით იყოს გამოწვეული, ისევე როგორც პაკისტანსა და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთს თავს დამტყდარი გვალვები.

გარდა კლიმატის ცვლილებისა, ტოქსიკური ღრუბელი ძალზე უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა, განსაკუთრებით, ბავშვების, ჯანმრთელობაზე და მწვავე რესპირატორულ დაავადებებს იწვევს. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, იგი ინდოეთში ყოველწლიურად ასეულობით ათასი ბავშვისა და მოზარდის სიკვდილის მიზეზია.

სმოგის ზომები, ისევე, როგორც მისი ტოქსიკურობა, ყოველწლიურად იზრდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, დაახლოებით, 20-25 წელიწადში აზიის მოსახლეობა 5 მილიარდს მიაღწევს, მოსალოდნელი კატასტროფის მასშტაბები ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მის თავიდან ასაცილებლად რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო, რომლებსაც ხსენებული ქვეყნები უფულობის გამო ვერ ატარებენ. ამ ზომებში, პირველ რიგში, შეშისა და ორგანული საწვავის ენერგიის უფრო სუფთა წყაროებით შეცვლა იგულისხმება.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ატმოსფეროში გამონაბოლქვი გაზების, პირველ რიგში, კი ნახშირორჟანგის, ლომის წილს უშვებენ, არც ისინი აპირებენ ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ეს განსაკუთრებით აშშ-ზე ითქმის, რომელიც გლობალური დათბობის შესახებ კიოტოს შეთანხმებიდან საერთოდ გამოვიდა. განვითარებული ქვეყნები ფიქრობენ, რომ გამონაბოლქვის შეზღუდვა მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა, მით უმეტეს, რომ მისი სავალალო შედეგები ჯერ, ძირითადად, განვითარებად ქვეყნებს აწუხებს.

# რუსეთის პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია

რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აღადგინოს სანკტ-პეტერბურგის ახლოს მდებარე კონსტანტინეს სასახლე და იგი პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენციად აქციოს. XVIII საუკუნის ათასოთახიანი სასახლე მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა და მას შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

სასახლის რეკონსტრუქცია, გეგმის მიხედვით, მომავალ წელს, პეტერბურგის 300 წლისთავის ზეიმისათვის უნდა დასრულდეს. შოტლანდიური გაზეთის, "სკოტსმენის" ინფორმაციით, პროექტი 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება.

სასახლის რეკონსტრუქციის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მასზე გაღებული სახსრები საკმარისი იქნება ქალაქის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი 130 არქიტექტურული ძეგლის აღსადგენად. თავის მხრივ, კრემლი ამტკიცებს, რომ სასახლე კერძო და არა სახელმწიფო სახსრებით აღდგება.

სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, სასახლის რეკონსტრუქცია კიდევ ერთი ნაბიჯია "ჩრდილოეთის დედაქალაქის" სრულუფლებიან დედაქალაქად ქცევის გზაზე.

# სომალის ნაპირებთან მეკობრეებმა ბრიტანეთის ტანკერი გაიტაცეს

ბრიტანეთის ტანკერი, რომელზეც უკრაინული ეკიპაჟი იმყოფება, დუბაიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მიეშურებოდა. სომალის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან მას მეკობრეთა სამი სწრაფმავალი კატერი დაესხა თავს. "ბი-ბი-სის" ცნობით, მეკობრეთა რაოდენობა 100-ს აღწევდა. მათ ხომალდიც და მისი ეკიპაჟიც გაიტაცეს და გამოსასყიდად 1 მილიონი ამერიკული დოლარი მოითხოვეს. ტანკერი ამჟამად სომალის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში, პუნტლენდში იმყოფება. ამავე არეალში დგას ბრიტანული ფრეგატი "კამბერლენდი," თუმცა, ფრეგატიდან ტანკერის საძებნელად გაგზავნილი ვერტმფრენი უკან ხელცარიელი დაბრუნდა. გასული თვენახევრის მანძილზე უკვე სამი ანალოგიური ინციდენტი მოხდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მეკობრეებმა გამოსასყიდი თანხის მიღებაც შეძლეს.

# არაფატმა დაპატიმრებები დაიწყო

პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, იასირ არაფატმა პალესტინის უშიშროების სამსახურის ოფიცრების დაპატიმრების ორდერზე მოაწერა ხელი. აღნიშნული თანამშრომლები უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის, ჯიბრილ რაჯუბის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. სპეცსამსახურის ოფიცრებმა განაცხადეს, რომ არ აპირებენ არაფატის ბრძანებების დამორჩილებას, რადგან მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. რაჯუბი დაკავებული თანამდებობიდან ივლისის დასაწყისში გაათავისუფლეს, მის ადგილზე კი ქალაქ ჯენინის ყოფილი მერი, ზახირ მუნასრი დანიშნეს. რაჯუბის გათავისუფლების ფაქტმა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ თავიანთი განაწყენება არაფატის პოლიტიკის მიმართ ღიად გამოხატეს. აღსანიშნავია, რომ რაჯუბი მოძრაობა "ფათჰის" რევოლუციური საბჭოს წევრია. ის პალესტინის სახელისუფლო სტრუქტურებში დიდი გავლენით სარგებლობს. ზოგიერთი ექსპერტი მას არაფატის მემკვიდრედაც მიიჩნევდა.

# დაღუპული „ილ-86" გაფრენამდე ერთი საათით ადრე დააზღვიეს

სანკტ-პეტერბურგში გამომავალმა გაზეთმა "ნოვი პეტერბურგმა" სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა – დაღუპული ავიალაინერი "ილ-86", რომელიც ასრულებდა რეისს მოსკოვი-სანკტ-პეტერბურგი, გაფრენამდე ერთი საათით ადრე სასწრაფოდ დააზღვიეს. ავიალაინერი ეკუთვნოდა ავიაკომპანია "პულკოვოს" და მისი სადაზღვევო ღირებულება 5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. გაფრენამდე ერთი საათით ადრე კი თვითმფრინავი მოსკოვის სადაზღვევო კომპანია "ატვეჟ"-ში სასწრაფოდ დააზღვიეს 3 მილიონ დოლარად. თუ ვის დასჭირდა გაფრენამდე ერთი საათით ადრე "ილ-86"-ის დაზღვევა და ნახა თუ არა ვინმემ ამ ტრაგედიით სარგებელი, ამის დადგენას გამოძიება შეეცდება.

# კოლუმბიაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

კოლუმბიის პრეზიდენტმა, ალვარო ურიბემ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მან ეს გადაწყვეტილება სამთავრობო ძალებსა და მემარცხენე აჯანყებულებს შორის მორიგი შეტაკების შემდეგ მიიღო. ურიბემ გამოიყენა კოლუმბიის კონსტიტუციის მუხლი, რომელიც პრეზიდენტს უფლებას აძლევს, შეაჩეროს რიგი სამოქალაქო თავისუფლებები, როდესაც ქვეყნის უშიშროებას საფრთხე ემუქრება. საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში 90 დღეს გაგრძელდება. ოთხშაბათს, ურიბეს ინაუგურაციის შემდეგ, შეტაკებების დროს, 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მემარცხენე ამბოხებულებს, კოლუმბიის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებსა და სამთავრობო დანაყოფებს შორის ბრძოლები ქვეყნის ჩრდილოეთში, ბოლივარის შტატში მიმდინარეობს, სადაც მხარეები კოკაინის პლანტაციებზე კონტროლის დაწესებას ცდილობენ.

# იეღოველთა კონგრესი კონფლიქტის მიზეზი გახდება

ვასილ გულეური
გორი

გორის რაიონის სოფელ ოთარშენის მოსახლეობამ ადგილობრივ ხელისუფლებას უკვე მეორედ მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ 14-15 აგვისტოს სოფელში დაგეგმილია იეღოვას მოწმეთა კონგრესი. სოფლის მოსახლეობა კონგრესის ჩატარების წინააღმდეგია. ამის მიზეზი, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ის არის, რომ იეღოვას მოწმეები **"ყოველგვარი ხერხით ცდილობენ, ჩაითრიონ სექტაში ბავშვები, შეურაცხყოფენ სოფლის სამლოცველოს და იმ პიროვნებებს, რომლებიც არ ერთიანდებიან მათ სექტაში."** ოთარშენის მაცხოვრებლები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ზომების მიღებას მოითხოვენ, რათა **"არ დაიღვაროს სისხლი და არ მოხდეს ცოდვის ჩადენა."** ნიშანდობლივია, რომ კონგრესის ჩატარება მარიამობის მარხვის დასაწყისს ემთხვევა.

გორის რაიონის გამგებლის მოადგილე ზაზა მებადური და გორის რაიონის პოლიციის უფროსი გელა ცალქალამანიძე შეხვდნენ იეღოვას მოწმეთა წარმომადგენელს, სოსო ხარჩილაძეს და სთხოვეს, შექმნილი მდგომარეობის გამო, არ ჩაატარონ კონგრესი, რადგან მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილება ძნელი იქნება.

**"რაიონში დაძაბული კრიმინოგენული სიტუაციაა, მიმდინარეობს მუშაობა ჯგუფის აყვანაზე. არ არის საშუალება, წესრიგის დასაცავად ოთარშენში პოლიციელები გავაგზავნოთ,"** - განაცხადა გელა ცალქალამანიშვილმა.

როგორც ზაზა მებადურმა გვითხრა, ოთარშენში უკვე რამდენიმე წელია, რეგულარულად ტარდება კონგრესი, რომელზეც ორიათასამდე ადამიანი იყრის თავს. **"სოფელში შეისყიდეს სახლი, რომელიც თავშეყრის ცენტრი გახდა. მათი დაცვის პრობლემა ყოველთვის იყო. წელს პირველად მოხდა, რომ 87 კაცის ხელმოწერით შემოვიდა განცხადება, სადაც მოითხოვენ კონგრესის ჩატარების შეზღუდვას. თვით იეღოვას მოწმეები აცხადებენ, რომ ბრიტანეთის და ამერიკის საელჩოები, ეუთოს მისია დაინტერესებულია, თუ რა მოხდება. ჩვენი რაიონი ექსპერიმენტისთვის არ გამოდგება. არა გვაქვს უფლება, ვინმე რისკის ქვეშ დავაყენოთ,"** - განმარტავს ზაზა მებადური.

იეღოვას მოწმე სოსო ხარჩილაძე ამბობს, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები იეღოველთა მხრიდან ვინმეს შეურაცხყოფის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება: **"თუ ასეთი რამ მართლაც ხდება, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და სამართალდამცავებმა გაარკვიონ. ჩვენ არავის ვუპირისპირდებით."** იგი დაპირისპირების მიზეზად 24 ივლისს ოთარშენში პარლამენტარი გურამ შარაძის ვიზიტს ასახელებს: **"მაშინ მოწოდებები გაისმა, თითქოს ტერიტორია უკანონოდ არის შეძენილი, რომ სოფლის მოსახლეობამ ეს არ უნდა დაუშვას. ითქვა, რომ ჩვენ უკანონოდ ვმოქმედებთ. როდესაც უზენაესმა სასამართლომ განჩინება გამოიტანა, რომლითაც "იეღოვას მოწმეთა კავშირის" სასამართლო რეგისტრაცია გაუქმდა, ამას მოყვა განმარტება, რომ ორგანიზაციას ფუნქციონირება არ შეუჩერდა და რჩება არარეგისტრირებულ ორგანიზაციად."** როგორც სოსო ხარჩილაძემ გვითხრა, მას არ შეუძლია, გადაწყვიტოს, ჩატარდება თუ არა კონგრესი. იგი აპირებს ეს ინფორმაცია მიაწოდოს თბილისის ოფისს, სადაც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

# უნივერსიტეტის წინააღმდეგ რამდენიმე ახალი სარჩელი მზადდება

პირველი გვერდიდან


სამართალს აუცილებლად ვიპოვით!
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

აბიტურიენტის მშობელმა ნანა ხიზამბარელმა. უახლოეს დღეებში, კომიტეტი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში უნივერსიტეტის წინააღმდეგ რამდენიმე სარჩელს შეიტანს. **"ჩემმა შვილმა ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა დაამთავრა. მათემატიკაში რესპუბლიკის მასშტაბით რამდენიმე ოლიმპიადაშიც მიიღო მონაწილეობა, ორჯერ პირველი ადგილი აიღო და ასეთ ბავშვს მათემატიკის გამოცდაზე ექვსიანი დაუწერეს. ახლა სარჩელს ვამზადებ და იმედი მაქვს, რომ სამართალს აუცილებლად ვიპოვი"**, - გვითხრა ქალბატონმა ნანამ, რომლის 17 წლის შვილი, წელს უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე აბარებდა.

მშობელთა და აბიტურიენტთა კომიტეტი მოითხოვს, ყველა ჩაჭრილი თუ ქულადაკლებული აბიტურიენტის იანვრამდე საბიუჯეტო განყოფილებაზე ჩარიცხვასა და იანვრის სემესტრული გამოცდების შედეგების მიხედვით, მათ ფასიან და უფასო სექტორზე განაწილებას.

იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, კომიტეტი შემოდგომისთვის საპროტესტო აქციებით იმუქრება. "გვეყო, რასაც აქამდე ვითმენდით, სექტემბერში უკვე ქუჩაში გამოვალთ და სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობას გამოვაცხადებთ", – თქვა კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა.

# ცოფის კიდევ ერთი მსხვერპლი რუსთავში

მაია მოსიაშვილი
რუსთავი

22 წლის რუსთაველი ია გამეზარდაშვილი 10 აგვისტოს თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გარდაიცვალა. თბილისელი ინფექციონისტები აცხადებენ, რომ პაციენტის ავადმყოფობის სიმპტომები, რომელიც მას სიცოცხლის ბოლო სამ დღეში გამოუვლინდა, ყველა ნიშნით ცოფის კლინიკას ემთხვეოდა. რესპუბლიკის მთავარი ინფექციონისტის, შოთა გოგიჩაიშვილის თქმით, ეს იყო ცოფის კლასიკური შემთხვევა და დიაგნოზის სისწორეზე პასუხისმგებლობას ის საკუთარ თავზე იღებს. **"ავადმყოფს განუვითარდა ჰაერის, წყლის შიში, სუნთქვის შეკავება, აგზნებადობა. ყველა ნიშანი იყო ცოფის, სხვა არც ერთ დაავადებას ეს ნიშნები არ ახასიათებს,"** - განაცხადა მან.

გამეზარდაშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ინფექციის კერის აღმოსაჩენად ეპიდკვლევა ჩატარდა. ცენტრის დირექტორის, თინათინ ნადირაშვილის თქმით, მათ მიერ გამოკითხულ იქნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები და მეზობლები. დადგინდა, რომ ია გამეზარდაშვილი 4 ივლისს გაკაწრა ლეკვმა, რომელიც სახლში მისმა ძმისშვილმა ქუჩიდან მიიყვანა. დაზარალებულს ანტირაბიული კაბინეტისათვის არ მიუმართავს. დღემდე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია არსებობს ლეკვის ადგილსამყოფელის შესახებ, ზუსტად არც ის იციან, ცოცხალია ის თუ მკვდარი. ჯადაცვის ცენტრმა ამ ლეკვთან კონტაქტირებული კიდევ 5 ბავშვი გამოავლინა. დაზღვევის მიზნით, მათ სათანადო სამედიცინო დახმარება უკვე ჩაუტარდათ.

რუსთავის ვეტსამსახურის უფროსი ხათუნა რუსიძე აცხადებს, რომ მისმა თანამშრომლებმა სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს იმ სავარაუდო ადგილზე, სადაც, შეიძლება, ლეში ყოფილიყო. რუსიძის თქმით, აღნიშნულ რაიონში, აპრილ-მაისში, ყველა პატრონიანი ძაღლი აიცრა, თუმცა, ამან პრობლემა ვერ მოხსნა, რადგან მთავარი პრობლემა მაწანწალა ძაღლებია, რომლებიც მხოლოდ განადგურებას ექვემდებარებიან.

რუსთავის კეთილმოწყობის სამსახურს ჰყავს ძაღლდამჭერი ბრიგადა. ბოლო სამი დღის მანძილზე, ანუ მას შემდეგ, რაც გამეზარდაშვილი გარდაიცვალა, მათ მიერ 15 მაწანწალა ძაღლი იქნა განადგურებული. პირველი ივლისიდან დღემდე კი მათ მიერ ვეტსამსახურში 93 ძაღლის დინგი, როგორც განადგურების უტყუარი ნიშანი, იქნა მიტანილი. რუსიძე აცხადებს, რომ ძაღლდამჭერი ბრიგადა პირნათლად მუშაობს. მაშ, რა ხდება?

სპეციალისტთა განმარტებით, მაწანწალა ძაღლი - ეს არის კატეგორია, რომელიც პოპულაციად ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, მათთან ბრძოლა, მხოლოდ განადგურების გზით, უშედეგოა და კომპლექსური ღონისძიებების ჯაჭვს საჭიროებს. ერთ-ერთი მთავარი პირობა ის არის, რომ ძაღლებს ქალაქის ქუჩებში საკვების მოძიების საშუალება არ უნდა ჰქონდეთ. რუსთავის სანიტარიული მდგომარეობა კი, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია.

**"ცოფის ორთვიურის დაწყებიდან დღემდე, ქალაქში არ ჩატარებულა სანიტარიული დღე. არ არის გაწმენდილი ძველი ნაგვისაგან, არც ხელოვნური ნაგავსაყრელებია ლიკვიდირებული. ბოლო წლების მანძილზე საერთოდ არ ჩატარებულა მაღლივი კორპუსების სანაგვე ბუნკერებისა და ნაგვის საყრელი კონტეინერების რეცხვა-დეზინფექცია, რის გამოც ქალაქში მომრავლებულია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გადამტანი მღრღნელი და მწერი. ამის გამო არ არის გამორიცხული ნაწლავური, განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო ინფექციების აღმოცენება-გავრცელება, მათ შორის, ცოფის, პარტახტიანი ტიფის, მალარიისა და სხვა. მარტო პრევენციული ღონისძიებების გატარება აშკარად არასაკმარისია,"** - ეს არის ამონაწერი დოკუმენტიდან, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა ქალაქის მერიას 20 მაისს გაუგზავნა. ცენტრის დირექტორის, თინათინ ნადირაშვილის ინფორმაციით, ქალაქში დღესაც არსებობს ნაწლავური ინფექციების, აგრეთვე, ტიფის გავრცელების საშიშროება.

რუსთავის მერიის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მერაბ ტყეშელაშვილმა სინანული გამოთქვა გოგონას გარდაცვალების გამო, თუმცა, მერიის შესაბამის სამსახურებში დამნაშავის მოძიება მომავლისათვის გადადო. მან ეჭვქვეშ დააყენა ცოფის დიაგნოზის სისწორე, რადგან პაციენტს გარდაცვალების შემდეგ დიაგნოზის დამადასტურებელი პათანატომიური კვეთა არ ჩაუტარდა. **"ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ თბილისიდან აქ ჩამოვიდნენ და გარდაცვალებიდან ორ საათში ბალზამირება გაუკეთეს მიცვალებულს. ბალზამირებული სხეულის ტვინიდან კი ცოფის დიაგნოზის დამადასტურებელი ან უარმყოფელი ანალიზის აღება შეუძლებელია,"** - აცხადებს ტყეშელაშვილი და რუსთავის პროკურორს საქმის გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების შეკრებას სთხოვს.

## სამართალი

# შინაგან საქმეთა მინისტრი ანკესს წამოეგო

სოფიკო ჩხაიძე

სახელისუფლებო ძალთა ბრძოლა მწვავდება -- ამის თქმის საფუძველს შს მინისტრის გუშინდელი პრესკონფერენცია იძლევა. კობა ნარჩემაშვილი გულუბრყვილოდ წამოეგო ანკესს და პრესაში გამოქვეყნებულ ერთ კონკრეტულ სტატიას პრესკონფერენცია მიუძღვნა.

მან ჟურნალისტის მოსაზრებები დაუკავშირა ცოტა ხნის წინათ "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შს სამინისტროს პირადი შემადგენლობის მისამართით გავრცელებულ მიმართვას, რომელშიც პოლიტიკოსები რიგით პოლიციელებს მოუწოდებდნენ, არ აჰყოლოდნენ ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ მისწრაფებებს. ეს მიმართვაც, გუშინდელ გაზეთში გამოქვეყნებული მტკიცებაც, ნარჩემაშვილის ალიანსზე ჟვანია-სააკაშვილის ტანდემთან და ამ სამეულის დაკავშირება საშემოდგომო დესტაბილიზაციასთან, შს მინისტრს მის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის ნაწილად მიაჩნია. ნარჩემაშვილის აზრით, ეს კამპანია იმ ადამიანებისგან მომდინარეობს, რომლებსაც შს სამინისტროს ხელმძღვანელობის ხელისუფლებასთან (პრეზიდენტთან) დაპირისპირება სურს. ყოველივე ამის უკან იგი ერთი ძალის ინტერესებს ხედავს და არ გამორიცხავს, რომ მსგავსი შეტევები, ეგრეთ წოდებულ "ვერის საღამოებზე" იგეგმება.

კობა ნარჩემაშვილს გუშინდელ პრესკონფერენციაზე არც "ვერის საღამოების" შესახებ გაუკეთებია რაიმე კონკრეტული მინიშნება და არც მისი უშუალო მტრის სახელი უთქვამს, თუმცა, ცხადია, ძალა, რომელიც შს მინისტრს თუნდაც ფარულ დარტყმებს აყენებს, თანაც ისეთს, რომ დარტყმის ობიექტს საჯარო განცხადებების გაკეთებისკენ უბიძგებს, უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

გარკვეული მინიშნებები ამ ძალაზე, რასაკვირველია, არსებობს. თვით ნარჩემაშვილისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება იმის გახსენება, სერიოზულ სახელისუფლებო დაჯგუფებათაგან რომელი ესხმოდა თავს ამ ბოლო ხანებში შს მინისტრს, პირდაპირ თუ ირიბად. და თუ ამ ძალაში, ქვეყნის მესამე პირთან ერთად, ვერაზე, ფიქრის გორაზე, არასამთავრობო ორგანიზაციის ჭერს შეფარებული ყოფილი ძალოვნები ერთიანდებიან, მით უმეტეს, ძნელი სავარაუდოა, რომ მათთან შერკინებამ უდანაკარგოდ ჩაიაროს. თუმცა, შს სამინისტროში მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ სახელისუფლებო დაპირისპირებაში ნარჩემაშვილს უსაზღვრო ინფორმაციის ფლობის უპირატესობა აქვს.

ვნახოთ, რითი დამთავრდება ყველაფერი. სავარაუდოდ, ლოდინმა დიდხანს აღარ უნდა გასტანოს. აშკარაა, მხარეთა შორის დაპირისპირება დასკვნით ფაზაში შედის. არბიტრის როლში, როგორც ყოველთვის, პრეზიდენტი მოგვევლინება, რომლის სიმპათიებზე წინასწარმეტყველება უმადური საქმეა.

და ბოლოს, ამას წინათ სახელმწიფო მინისტრმა ბიუჯეტის შეუსრულებლობა ძალოვან მინისტრებს დააბრალა. კითხვაზე - რატომ გესხმით თავს სახელმწიფო მინისტრი? - ნარჩემაშვილს ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ გაუცია და თქვა: **"მე შევარდნაძის გუნდში ჯერ კიდევ მაშინ ვიყავი, როცა მან ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. მიუხედავად იმისა, ვიქნები მინისტრი თუ არა, ჩემს შესაძლებლობებს არ დავიშურებ, რომ არაფერმა შეუშალოს ხელი ედუარდ შევარდნაძეს, საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე მართოს ქვეყანა, რადგან ვფიქრობ, რომ ვადამდე პრეზიდენტის ნებისმიერი ფორმით გადადგომა დესტაბილიზაციის წყაროდ იქცევა".**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამ სიტყვებში, დასმული შეკითხვიდან გამომდინარე, მოჩანს გარკვეული მინიშნებები, რომელთა ამოკითხვა ინფორმირებულ ადამიანს არ უნდა გაუჭირდეს.

# ახალგაზრდების საერთაშორისო დღე და ექვსი თავისუფალი ქართველი ახალგაზრდა

თამარ კაციტაძე

ახალგაზრდების საერთაშორისო დღეს ორიგინალურად შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. იგი ჯერ ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტს ესტუმრა, ხოლო შემდეგ, იუსტიციის მინისტრის, მისი მოადგილის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების თანხლებით, ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებას ეწვია.


თავისუფლების სიხარული
იური ლოგვინის ფოტო

ეს დღე სასიხარულო და მოულოდნელი აღმოჩნდა რამდენიმე არასრულწლოვანი პატიმრისთვის. დღეიდან ექვსი არასრულწლოვანი: ბეჟან რუხაძე, დავით სოხაძე, კონსტანტინე პეტრიაშვილი, გაბრიელ გუმბარიძე, არტურ მკრტიჩიანი და ამირან კილაძე იმედია, სამუდამოდ დაემშვიდობნენ ციხის კედლებს. ეს სიურპრიზი მათ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოუმზადა. ამ კეთილი იდეის ინიციატორნი კი ახალგაზრდული ორგანიზაციები გახლდნენ. სწორედ მათი თხოვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, პრეზიდენტმა, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, საკუთარი უფლება გამოიყენა და, ახალგაზრდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ექვსი ახალგაზრდა შეიწყალა.

პრეზიდენტის ამგვარი ნაბიჯით მოხიბლული სახელმწიფო მინისტრი პენიტენციურ სისტემასთან თანამშრომლობას მომავალში უფრო ინტენსიურად გეგმავს. ჯერ ერთი, იგი აპირებს, შეისწავლოს პატიმრობაში დარჩენილი ბავშვების პირადი საქმეები და თუ შესაძლებელი იქნება, მათი შეწყალების ინიციატივით პრეზიდენტთან შევიდეს; მეორეც - ჯორბენაძე აცხადებს, რომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად ეცდება, იზრუნოს როგორც დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ისე იქიდან გასული ადამიანების მომავალზეც.

**"ისტორიულად, დანაშაულთან საზოგადოების ძალადობით ბრძოლას წარმატება არ მოყოლია. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პენიტენციალური სისტემა იყოს არა მხოლოდ სასჯელის მოხდის ადგილი, არამედ უნდა შევძლოთ პატიმრებში სხვა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება. დღეს უკვე მუშავდება პროგრამები, რომელშიც ჩართულები იქნებიან როგორც ფსიქოლოგები და სოციოლოგები, ისე სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც ერთდროულად იმუშავებენ ციხიდან გასულ ადამიანთა დასაქმებაზე, რათა მათ სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი"**, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ავთანდილ ჯორბენაძემ.

კონკრეტულად როდის და რა სახით აპირებს სახელმწიფო ციხიდან გასული მოქალაქეების ბედზე ზრუნვას, სახელმწიფო მინისტრს არ დაუზუსტებია. სამაგიეროდ, იმედის მომცემად ჟღერს იუსტიციის მინისტრის ინფორმაცია:

**"იუსტიციის სამინისტროში შემუშავებულია პროგრამები, რომლებიც სასწავლო მეთოდის და, აქედან გამომდინარე, ციხიდან გასულ არასრულწლოვანთა დასაქმების პრობლემას მოაწესრიგებს. ახლო მომავალში დაწესებულებაში შევიტანთ კომპიუტერებს. პატიმრები მიიღებენ სრულფასოვან კომპიუტერულ განათლებას, რომელსაც მომავალში გამოიყენებენ".**

ვიდრე სახელმწიფო მინისტრი შეწყალებულ არასრულწლოვანთა გვარებს დაასახელებდა, მან ახლად გარემონტებული დაწესებულება დაათვალიერა. ამასობაში კი მასპინძლებსა და სტუმრად მისულ ახალგაზრდა "ნაციონალებს" შორის მინი-ფეხბურთის მატჩი შედგა, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სტუმართა მეკარე, დუტა სხირტლაძე გაშვებულ გოლთა სიმრავლეს საკუთარი სისუსტით ხსნიდა და თავისუფლებააღკვეთილ თაყვანისმცემლებს ავტოგრაფებს ურიგებდა.

ახალგაზრდების საერთაშორისო დღე სიურპრიზებით იყო სავსე პატიმრობაში დარჩენილი 20 არასრულწლოვანისთვისაც. მათ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში, კახა კახიშვილმა სპორტული მაისურები და ფეხსაცმელები გადასცა. ბოლოს კი მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნდმა "შერეკილმა" ციხის ცხოვრების კურიოზებით პატიმართა გამხიარულებაც შეძლო. გუშინდელმა დღემ ყველა პატიმარს ვადაზე ადრე გათავისუფლების იმედი ჩაუსახა.

**"ჩვენი მეგობრების გასვლა ძალიან გვიხარია და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საქმეებსაც შეისწავლიან"**, - ამბობდნენ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანები.

დაწესებულებიდან გამოსულთ პეტრიაშვილის აცრემლებული დედა დაგვხვდა. შვილის გათავისუფლების ამბავი მას რამდენიმე წუთის წინ შეეტყო.

# ერიდეთ ფალსიფიცირებულ სასმელს

შს სამინისტროს ფალსიფიკაციასთან ბრძოლის განყოფილებამ მსხვილ ფალსიფიკატორებს მიაგნო. ისინი "ბორჯომს", "კოკა-კოლას", "ფანტასა" და "სპრაიტს" აყალბებდნენ. პოლიციამ ფალსიფიცირებული გამაგრილებელი სასმელით სავსე მანქანა "ფონიჭალის" საგუშაგოზე დააკავა.

ვინმე დავით სტეფნაძის კუთვნილ მანქანას, მინდობილობის გარეშე, მართავდა სტეფნაძის ქვისლი - თამაზ გელაშვილი. მანქანაში აღმოჩნდა სხვადასხვა ტევადობის 456 ბოთლი "კოკა-კოლა", "ფანტა" და "სპრაიტი". ქვისლმა დავით სტეფნაძე ადვილად გაიმეტა და სამართალდამცველებს აცნობა, რომ ტვირთი სწორედ მას ეკუთვნოდა და მისივე დავალებით მიჰქონდა რუსთავში. პოლიციამ დაადგინა, რომ საქონელი თბილისში მზადდებოდა. მიაგნეს კიდეც ბინას, სადაც მინი-საწარმო ფუნქციონირებდა. თბილისში, ინტერნატის ქუჩაზე, მოქალაქე მაია დათუნაშვილის სახლის სარდაფში, საშინელ ანტისანიტარიაში, ნაგვიდან ამოღებულ პლასტმასის ბოთლებში ფალსიფიკატორები იოდითა და ინგლისური მარილის ნარევით შეზავებულ სასმელებს ამზადებდნენ. პოლიციამ სარდაფიდან 2 116 ბოთლი "კოკა-კოლა", 368 ბოთლი "ბორჯომი", 501 ბოთლი "ფანტა" ამოიღო. იქვე აღმოაჩინეს 459 მეორადი ბოთლი, 1029 ბოთლის ახალი თავსახური, დიდი ოდენობით სოდა, იოდი, ინგლისური მარილი, კონცენტრატები, კუსტარული დაზგა-დანადგარები, ხელსაწყოები და სხვა ნედლეული.

შს სამინისტროს ფალსიფიკაციასთან მებრძოლი განყოფილების უფროსი, დავით მამალაძე ამბობს, რომ გაყალბებასთან რეალურად ბრძოლა, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის გარეშე, შეუძლებელია. ამ ცვლილებების პროექტი შს სამინისტროს უკვე შეტანილი აქვს პარლამენტში და მის განხილვას, დაახლოებით, სექტემბრისთვის ვარაუდობენ. დღეს კი, როცა ფალსიფიკატორები პირველ ჯერზე სასჯელად მხოლოდ 500 ლარამდე ჯარიმას იხდიან, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მიღებით მძიმე შედეგის გამოწვევა კი მათ მხოლოდ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთას უქადის, სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველო ფალსიფიკაციის ქვეყნადაა ქცეული.

ამ აზრს ის მეწარმეებიც ეთნხმებიან, რომლებიც გუშინ პრესკონფერენციაზე მიიწვიეს სამართალდამცველებმა. "კოკა-კოლასა" და "ბორჯომის" აღმასრულებელი დირექტორები იმ ფირმების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც გამყალბებლები განსაკუთრებით აზარალებენ. ერთადერთ განმასხვავებელ ნიშნად, რომლითაც მეწარმეები ფალსიფიცირებული პროდუქციის ნამდვილისგან განსხვავებას გვთავაზობენ, ბოთლის თავსახურია. თურმე, გაყალბებულ სასმელს პლასტმასის ხრახნიანი თავსახური კუსტარულად აქვს მიწებებული.

www.24hours.ge 24 B

# "მე ვიცნობ ამ მანქანებს"

### გზის მონაკვეთი: ქუთაისი ქობულეთი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეს შეძახილი პირველად ქუთაისში გავიგონეთ, როდესაც მთავარ მოედანზე პარკთან გაჩერებულ ჯიპების კოლონას ქუთათურები შემოეხვივნენ. ხანშიშესული მამაკაცი, რომელიც, როგორც ჩანს, ომის მონაწილე იყო, განსაკუთრებული სიხარულით ევლებოდა თავს იმ მანქანებს, რომლებითაც თავის დროზე მას თავად უომია: "მე ვიცნობ ამ მანქანებს, ეს ამერიკული სამხედრო ჯიპებია." გარდა ამისა, იყო შეძახილები, რომლებმაც გაგვაოცა: "სოხუმის ასაღებად მიდიხართ? რომელი ომი დაიწყო?" ქუთათურთა ნაწილს ეგონა, რომ ეს ის ამერიკელი სამხედროები იყვნენ, რომლებიც მე-16 დივიზიის სახელით უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში. შემდეგ ყველა გაუგებრობა გაირკვა, გზაზე გაზეთები დავარიგეთ და გასაგები გახდა, თუ რას ნიშნავდა ეს თეთრი დროშები და ამ დროშებზე გამოხატული ემბლემები.

ქუთაისში ღამე იწვიმა, რამაც ჯიპების მფლობელების დიდი შეშფოთება გამოიწვია და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან დილით ღია მანქანები წყლით იყო სავსე. გუბეები, საბედნიეროდ, მალე დაშრა, იმიტომ რომ დილიდან მზე აცხუნებდა და ჩვენ ბედნიერად განვაგრძეთ გზა. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები დიდი სიხარულით ეგებებოდნენ უცნაურ მსვლელობას. ბავშვები აივნებზე იყვნენ გამოფენილნი. მოგეხსენებათ, ეზოს კულტურა, რომელიც ასე განვითარებულია დასავლეთში, ამის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა, ბავშვები ღობეებს აწყდებოდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს ქალები, თუ პირქუშად შემოგვცქეროდნენ, აქაურები სიხარულით გამოდიოდნენ ქუჩაში და ხელს უქნევდნენ ყველა გამვლელ მანქანას. ჩოლოქის საზღვარი, რომლის გადალახვაც ჩვენს მძღოლებს რატომღაც აეჭვებდათ, წარმატებით დავძლიეთ. აჭარის მკვიდრნი სიხარულით შეგვეგებნენ.

გზად ფოთშიც გავჩერდით. ქალაქის მთავარ მოედანზე მერიის წარმომადგენლები შემოგვეგებნენ. ქალაქში უკვე იგრძნობოდა ზღვის სუნი და ქარავნის წევრები ემოციებით დატვირთულნი აგრძელებდნენ გზას. ქობულეთისკენ მიმავალ ვიწრო მონაკვეთზე, რომელიც მძღოლებისათვის ყოველთვის სახიფათო იყო იმის გამო, რომ ხეები, მათივე თქმით, არასწორადაა დარგული და შუქჩრდილის თამაში მძღოლებს ნერვებს უშლის ხოლმე, ჯიპების ქარავანი მაინც სიხარულითა და შეძახილებით მიიწევდა წინ, იმიტომ რომ უკვე ახლოს იყო ზღვა და მიზანი.

გუშინ ქობულეთში ჩავედით. მზე ანათებდა, გადასარევი ზღვა იყო, ჯიპმენები შეექცეოდნენ ლუდს, რომელიც ნამდვილად დაიმსახურეს. ხანშიშესულმა მანქანებმა წარმატებით გაიარეს გზის პირველი ნახევარი. ჯიპებზე შემომსხდარიყვნენ დამსვენებლები, გარუჯული მეგობრები, რომლებიც აქ დაგვხვდნენ. პირველი შემოგვეგება მხატვარი მამუკა ცეცხლაძე, რომელმაც თქვა, რომ ამ ჯიპებმა მას შთაგონების ახალი ტალღა აუზვირთეს. ბოლოს ჯიპები უკვე ნამდვილი სეირის საგნად იქცა, ყველა ცდილობდა მანქანაზე მოკალათებას და ქობულეთის ერთადერთ გრძელ ქუჩაზე ზეიმით ჩავლას.

გუშინ საღამოსთვის ავტოგარბენის მონაწილეები ბათუმში ზემფირას კონცერტს დაესწრნენ. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მათ ბათუმში ჯიპების გარეშე, სამარშრუტო ტაქსებით მოუხდათ ჩასვლა, რადგან ასეთი მანქანების უპატრონოდ დატოვება ცოტა საფრთხილოა. მაშინაც კი, როდესაც პატრონები ერთი წუთით ტოვებენ მანქანებს, მათ იმდენი მნახველი და ცნობისმოყვარე ეხვევა ხოლმე, რომ ჯიპმენები შიშობენ, მათ ბებერ მეგობრებს რამე არ დაემართოთ.

დღეს ქობულეთიდან ისევ ბათუმში მივდივართ, ოღონდ, ამჯერად ჯიპების ესკორტით.




# საქართველოში იმყოფება ცნობილი ფრანგი რეჟისორი ჟან-ლუი ბერტუჩელი

დავით ბუხრიკიძე

იგი თბილისში თავისი ქალიშვილის, ჟული ბერტუჩელის მხარდასაჭერად და ახალი ქართული კინოს აღმოსაჩენად ჩამოვიდა

საბჭოთა კინოგაქირავების მშვიდ დროში, როდესაც ფილმებს, ძირითადად, კინოთეატრში ვუცქერდით, 70-იანი წლების ბოლოს ეკრანზე გადიოდა პოპულარული ფილმი "ექიმი ფრანსუაზა გაიალი". რეჟისორი, კინომანებისთვისაც კი უცნობი, ფრანგი ჟან-ლუი ბერტუჩელი იყო. ფილმის წარმატება კი, პირველ რიგში, ანი ჟირარდოს სახელმა და თამაშმა განაპირობა, რომელიც იმხანად საბჭოთა მაყურებლისათვის ფრანგი ქალის განსახიერება იყო. ამგვარად გამოჩნდა უცნობი ფრანგი რეჟისორის ერდადერთი ფილმი, რომლის გვარსაც ხშირად ბერტოლუჩის გვარში ურევდნენ. როდესაც საქართველოში სტუმრად მყოფ რეჟისორთან ინტერვიუზე მივდიოდი, რედაქციის თანამშრომლების დიდი ნაწილი ბატონ ჟან-ლუის გვარს, გასაგები ასოციაციური მიზეზის გამო, ბერტოლუჩის გვარით მოიხსენიებდა.

—სარედაქციო "აკვიატების" შესახებ, ცხადია, რეჟისორისათვის არ გვითქვამს, თუმცა, გაზეთი "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში იტალიური წარმოშობის ფრანგი რეჟისორი განუწყვეტლივ საუბრობდა იტალიური კინოს შესახებ. ამბობდა, რომ მისთვის დღესაც უსაყვარლეს რეჟისორებად რჩებიან რობერტო როსელინი, ვიტორიო დე სიკა, ფედერიკო ფელინი და ერმანო ოლმი. ჟან-ლუი ბერტუჩელი თბილისში თავისი ქალიშვილის გასამხნევებლად და ქართული კინოს გასაცნობად ჩამოვიდა. ჟული ბერტუჩელი ოთარ იოსელიანის ფილმის – "ყაჩაღები, თავი VII" ასისტენტი იყო. ამ ფილმებზე რეჟისორი თბილისში ორი წლის წინ მუშაობდა. ამჯერად კი თავის სადებიუტო ნამუშევარს თბილისში იღებს.

**—ბატონო ჟან-ლუი, ისე მოხდა, რომ თქვენი ფილმებიდან მხოლოდ ერთს იცნობს მაყურებელი – "ექიმი ფრანსუაზა გაიალი", რომელიც, თავის დროზე, საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებით გადიოდა. არის თუ არა იგი თქვენთვის გამორჩეული და რატომ არ არის ცნობილი სხვა ფილმები?**

—ვერ გეტყვით, სხვა ფილმები რატომ "დაიჩაგრა", ან რატომ იყო თქვენთან "ექიმი ფრანსუაზა გაიალი" ასეთი პოპულარული. ალბათ, ანი ჟირარდოს გამო, რომელიც მაშინ პოპულარობის ზენიტში იყო. სხვათა შორის, ამ ფილმს უცნაური ისტორია ჰქონდა. თავიდან ვიღებდი ფილმს "სიყვარული შეგვეშალა", რომელიც სულ სხვა სიუჟეტზეა აგებული. გადაღების დროს ანი ჟირარდომ მთხოვა, რომ ექიმი გაიალის ისტორიით დავინტერესებულიყავი, რომელიც დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა. ნამდვილად არსებობდა ექიმი, რომელიც ბევრს ეწეოდა და რომელიც კიბოთი დაავადდა. თუმცა დიდმა სიყვარულმა და უდიდესმა ნებისყოფამ შედეგი გამოიღო – ექიმმა გაიალმა დაავადებას სასწაულებრივად სძლია.


ჟან-ლუი ბერტუჩელი

იური ლობოდინის ფოტო

**—ამ ფილმში გადაიღეთ აგრეთვე ფრანსუა პერიე, რომელიც უკვე ცნობილი მსახიობი იყო. როგორ ფიქრობთ, აუცილებელია ფილმში ვარსკვლავის მონაწილეობა?**

ფრანსუა პერიე ძალიან კარგი მსახიობია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეჟისორი კინოვარსკვლავების მიწვევით ან მათი აღმოჩენით იყოს დაკავებული. მან საკუთარი სამყარო უნდა შექმნას, რომელიც შემთხვევითობას მაქსიმალურად გამორიცხავს. დიდი იტალიელი რეჟისორები – დე სიკა, როსელინი, ოლმი პროფესიონალ მსახიობებს ზოგჯერ არც იღებენ, მაგრამ უდიდეს შედეგს აღწევენ. ისევე როგორც, მშვენიერი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი, რომლის შემოქმედებასაც კარგად ვიცნობ.

**—რა არის თქვენთვის შთაგონების წყარო: რაიმე ამბავი, სცენარი, ფანტაზია...?**

—ახალგაზრდობაში ყოველდღე კინოში დავდიოდი. ყოველი ახალი ფილმი აღმოჩენას ჰგავდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ყველაზე დიდი სკოლა თავად ცხოვრებაა. ვერანაირი მოდა ან მახვილგონივრული ექსპერიმენტი რეალობას ვერ შეცვლის. ამიტომ მიყვარს იტალიური კინო, რომლის მიმართ ყოველთვის დიდი სიმპათია მქონდა. ჩანს, ჩემს იტალიურ გენებს მართალაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მამაჩემი წარმოშობით ფლორენციელი იყო, რომელიც განუწყვეტლივ მახსენებდა ამას .

**—რომელმა ფილმა ან რეჟისორმა მოახდინა თქვენზე დიდი ზეგავლენა? რატომ გადაწყვიტეთ რეჟისორობა?**

—თორმეტი წლის ვიყავი, როდესაც ფელინის "გზა" ვნახე და საბოოლოდ მოვინუსხე ჯულიეტა მაზინათი. დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ, როდესაც ახალ ფილმს ვიღებდი, მასთან მუშაობა მომიწია და გაოგნებული დავრჩი. ამ ასაკოვანი ქალის თვალები ისევ ახალგაზრდობასა და ძველებურ ენერგიას ასხივებდა. ფილმი, რომლის სახელწოდებაა "დღეს, ალბათ" ჯერ-ჯერობით ჩემი ბოლო ფილმია. სამწუხაროდ, ბოლო აღმოჩნდა იგი მაზინასათვის. ფილმის გადაღებიდან ოთხ თვეში გარდაიცვალა ფელინი, შემდეგ კი თავად მაზინა. უკვე სამი წელი გავიდა ამ ფილმის ეკრანზე გამოსვლიდან და დღემდე მახსოვს ის შეგრძნებები, რომელიც გადაღებიდან შემომრჩა. რეჟისორობა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ხმის რეჟისურას დავეუფლე. მანამდე კი მუსიკით ვიყავი გატაცებული. ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინეს რობერტო როსელინის და ვიტორიო დე სიკას ფილმებმაც. მათი მძლავრი რეჟისორული ხელი, პროფესიონალიზმი და ეკრანზე ასახული ემოცია ჩემთვის დაუვიწყარია.

**—როდის იგრძენით, რომ აღიარებული და წარმატებული რეჟისორი ხართ?**

—წარმატებას ეჭვის თვალით ვუყურებ, რადგან ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოაჩინო, რომ ყველაფერი დაგავიწყდა, ყველაფერი თავდაყირა დგას. ამიტომ მირჩევნია, ახალი ფილმის გადაღებაზე დიდ ხანს და საფუძვლიანად ვიფიქრო. ათი სრულმეტრაჟიანი ფილმიდან, რომელიც გადავიღე, პირველივე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა – 1970 წელს ეკრანზე გამოვიდა "თიხის გალავანი", რომელმაც კანის კინოფესტივალზე პრესტიჟული, ჟან ვიგოს სახელობის პრემია დაიმსახურა. გარდა ამისა, იგი სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზეც უჩვენეს. არადა, მას საკმაოდ რთულ პირობებში ვიღებდით. ჯერ ტუნისში, სადაც რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო, შემდეგ კი ალჟირში.

**—კონკრეტულად რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში. ახალი ფილმის შექმნის იდეა ხომ არ დაგებადათ?**

—ჯერ კიდევ სამი წლის წინ თბილისში იმყოფებოდა ჩემი ქალიშვილი ჟული, რომელიც ოთარ იოსელიანის ფილმზე "ყაჩაღები, თავი მეშვიდე" ასისტენტად მუშაობდა. საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა გადაწყვიტა, რომ თავისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი სწორედ საქართველოში გადაიღოს. ამ საქმეში მეც "ჩამითრია", თუმცა პირადად მე რეჟისორული გეგმებით თბილისში არ ჩამოვსულვარ. კარგად მახსოვს ჩემი მღელვარება პირველი ფილმის გადაღებისას, ამიტომ მესმის ჩემი ქალიშვილის. აქ მთელი ოჯახი ვართ, მისი გულშემატკივრები და მხარდამჭერები: მე, ჩემი სიძე, პატარა შვილიშვილი... საქართველოში ნათლად ვიგრძენი ის სიცოცხლისუნარიანობა და ენერგია, რომელიც, ბევრი სირთულის მიუხედავად, თქვენი რეჟისორების ფილმებში კარგად იგრძნობა. საქართველო აშკარად მდიდარი კინემატოგრაფიული ტრადიციების ქვეყანაა. კარგად იცით სიცოცხლის ფასი და შესაბამისად, კინოში მას სახალისო, ფანტაზიით სავსე და შემოქმედებით ფორმას ანიჭებთ.

# ფრანგი კინო-დოკუმენტალისტის პირველი მხატვრული ფილმი

### ამბავი სამ ქართველ ქალბატონზე - ბებიაზე, შვილზე და შვილიშვილზე

თეონა ჯაფარიძე

სექტემბერ-ოქტომბერში, თბილისის ქუჩებში გამვლელები ,შესაძლოა, გადასაღებ მოედანსა და ნამდვილი კინოგადაღების პროცესს გადააწყდნენ-ფრანგი კინოდოკუმენტალისტი ,ჯული ბერტუჩელი და მისი გადამღები ჯგუფი საქართველოში თავისი პირველი, მხატვრული, სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას აპირებენ.

"საქართველოში პირველად 9 წლის წინათ მოვხვდი და საბჭოთა კავშირის ნანგრევებში ისეთივე ხალხი ვიპოვე, როგორებიც ჩვენ – ფრანგები, იტალიელები ვართ. (ჯული წარმოშობით იტალიელია) გაგიკვირდებათ, მაგრამ თქვენს დღევანდელ ყოფაშიც კი ხმელთაშუა ზღვის ხალხთა უძველესი კულტურების დანალექს ვხედავდი. ეს ჩემთვის დიდი და სასიამოვნო აღმოჩენა იყო."

მაშინ, საქართველოში ის ოთარ იოსელიანის ასისტენტად ჩამოვიდა და მუშაობდა ფილმზე ,"ყაჩაღები."

"ფილმის დასრულების შემდეგ პარიზში დავბრუნდი და ჩვეულებრივი ცხოვრება გავაგრძელე: - ვიღებდი დოკუმენტურ ფილმებს ფრანგული ტელე-არხების ARTE-სა და FRANS-3-თვის, მაგრამ საქართველოზე ფიქრი არ მასვენებდა. მინდოდა, თქვენს ქვეყანაზე ფილმი გადამეღო, მაგრამ არა დოკუმენტური. პირველად დავაპირე მხატვრული ფილმის შექმნა."

7 წლის შემდეგ ჯული ბერტუჩელი თბილისში ფრანგ სცენარისტთან, ბერნარ რენუჩისთან ერთად ჩამოვიდა. "მინდოდა, ბერნარს რეალურად შეეგრძნო აქაური გარემო." ისინი ,ორი წლის მანძილზე, ერთობლივად მუშაობდნენ მომავალი ფილმის სცენარზე, რომელიც სამი ქართველი ფრანკოფილი ქალის, სამი თაობის (ბებიას, შვილისა და შვილიშვილის) ისტორიას გვიამბობს.

რეჟისორი ამჯერად მესამედ, უკვე გადამღებ ჯგუფთან ერთად, ჩამოვიდა თბილისში.ამ ჯგუფის ოპერატორი, კრისტოფ პოლოკი, თავის დროზე, სახელოვან გოდართან და დუაიონთანაც მუშაობდა, ემანუელ დე შოვინი კი ყოველთვის ოთარ იოსელიანის ფილმების მხატვარია. ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს მომავალი ფილმისათვის:ტარდება სინჯები, ირჩევა ტიპაჟები და ტექნიკური პერსონალი. "თქვენთან საკმაოდ ძლიერ ოპერატორებსა და ასისტენტებს შევხვდი, რომლებსაც, ქართული კინო-კრიზისის გამო, იძულებითი შემოქმედებითი პაუზა აქვთ. ალბათ, მათთვისაც კარგი გაკვეთილი იქნება ნამდვილ მხატვრულ ფილმზე მუშაობა"- ამბობს რეჟისორი.

სექტემბერში გადამღებ ჯგუფს ათამდე ფრანგი კოლეგა შეუერთდება. ასე, რომ ჯგუფი შერეული იქნება.: მხატვარ ემანუელ დე შოვინისთან ქართველი სცენოგრაფი ჯემალ ჯალაღანია იმუშავებს, ფილმში პროფესიონალ ქართველ მსახიობებს და თბილისის ქუჩებში ნაპოვნ საინტერესო ტიპაჟებსაც დააკავებენ."თუმცა,ამ კინოსურათისთვის ფრანგები რომ მომეძებნა, ისინი ვარსკვლავები მაინც არ იქნებოდნენ",-ამბობს რეჟისორი."ეს არ იქნება ჰოლივუდური ფილმი,ის უფრო სინეფილების პუბლიკაზეა გათვლილი.".

"სინეფილების პუბლიკაზე გათვლილი" დოკუმენტალისტი რეჟისორის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი საკმაოდ პრეტენზიული განაცხადია, მაგრამ ბერტრან ტავერნიეს, კრისტოფ კიშლოვსკის, ემანუელ ფინკიელის და ოთარ იოსელიანის ასისტენტისათვის, ალბათ,მაინც ლოგიკური შემოქმედებითი გადაწყვეტილებაა.

ეს ფილმი სტუდია FILMS DU ROISSON-ის პროდუქცია იქნება. თანაპროდიუსერიები არიან წამყვანი ფრანგული ტელე-არხები- ARTE და CanalL. პროდიუსერია იაელ ფოჯიელი.

მას საფრანგეთის კინო-თეატრები და ტელეარხები აჩვენებენ და იგი ფესტივალებზეც იქნება წარდგენილი. მანამდე კი წინ თბილისური შემოდგომა და საინტერესო კინო--გადაღებებია.

ფეხბურთი

# რომარიომ სეზონის დაწყება 2 გოლით აღნიშნა


რომარიო და ჟოუბერტ ბეტო

რომარიო სეზონის დაწყებას მორიგი გოლებით აღნიშნავს. ერთი თვეც არ გასულ მას შემდეგ, რაც 36 წლის რომარიო "ვასკო და გამადან" "ფლუმინენსეში" გადავიდა. ბრაზილიის ჩემპიონატის პირველივე მატჩში, თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში, რომარიომ 2 გოლი გაიტანა. მარაკანას სტადიონზე შეკრებილი 67,000 გულშემატკივრის თანდასწრებით, "ფლუმინენსემ" ბელუ ორიზონტეს "კრუზეიროს" ანგარიშით - 5:1 მოუგო. მატჩის 43-ე წუთზე რომარიომ თავისი პირველი გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა. ბოლო მეორე ბურთი 90-ე წუთზე შეაგდო. *(sid)*

# კანავარო „ინტერშია"

ყინული დაიძრა! იტალიურ სატრანსფერო ბაზარზე, კლუბების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, რამდენიმე თვის მანძილზე სრული სიმშვიდე იყო. აქამდე არც ერთ სატრანსფერო ზაფხულს ხმაურიანი გარიგების გარეშე არ ჩაუვლია. ახლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი არც წლევანდელი იქნება. იტალიის ნაკრების მცველი ფაბიო კანავარო "ინტერში" გადადის. უკანასკნელ დღეებში, მილანურმა კლუბმა საკუთარი გულშემატკივრის გული ნამდვილად მოინადირა: ჯერ იყო და "ინტერმა" არაფრით არ გაუშვა ბრაზილიელი "ფენომენი" რონალდო, ახლა კი "პარმადან" ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი შეიძინა. "ინტერს," კანავაროს სანაცვლოდ, 11,5 მილიონი ევროს გადახდა მოუწია. 29 წლის მცველი წელიწადში, ხელფასის სახით, 4,8 მილიონ ევროს მიიღებს. სავსებით შესაძლებელია, რომ კანავარომ დღესვე ითამაშოს "ინტერის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში, ლისაბონის "სპორტინგის წინააღმდეგ.

# ჟუნინიო ფეხბურთს გამოეთიშება

ინგლისურ "მიდლსბროს," სავარაუდოდ, ნახევარი წელი მაინც მოუწევს ბრაზილიელი ჟუნინიოს გამოჯანმრთელებაზე ლოდინი. 29 წლის ნახევარმცველმა, რომელიც "მიდლსბროში" მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა, იტალიურ "მოდენასთან" ამხანაგურ მატჩში (0:0) მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო. "ჩვენთვის ეს უმძიმესი დარტყმაა", - განაცხადა "ბოროს" მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა. ჟუნინიოს სანაცვლოდ, რომელიც "მიდლსბროში" ჯერ კიდევ 1995-1997 და 1999-2000 წლებში თამაშობდა, ინგლისელებმა მადრიდის "ატლეტიკოს" 9,5 მილიონი ევრო გადაუხადეს. *(sid)*

# სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები 24 აგვისტოს, სფფ-ის წესდებით ჩატარდება

### წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო ფეხბურთიდან იზოლაცია ემუქრება

აკა ტონია

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, მერაბ ჟორდანიამ და სფფ-ის გენერალურმა მდივანმა, ვალერი ჩოლარიამ, სპორტისა და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს.

აღნიშნული პრესკონფერენცია ჟორდანიასა და ჩოლარიას, გასულ კვირას, ციურიხში, FIFA-ს შტაბ-ბინაში ვიზიტს ეხებოდა.

ვალერი ჩოლარიამ ჟურნალისტებს ამცნო, რომ სფფ-ის სახელზე მოვიდა წერილი, რომლის თანახმადაც, მერაბ ჟორდანია აირჩიეს UEFA-ს პროფესიონალური ფეხბურთის კომიტეტის წევრად. კომიტეტში სულ 11 წევრია, მათ შორისაა მერაბ ჟორდანია, რომელიც ხსენებულ კომიტეტში საქართველოს მხრიდან ერთადერთი წარმომადგენელი იქნება.

ამ მოკლე იფორმაციის შემდეგ, ჟორდანიამ და ჩოლარიამ FIFA-ში ვიზიტის შესახებ ისაუბრეს. "ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ FIFA-ს შესაბამისი კომიტეტი იმაში უნდა დაგვერწმუნებინა, რომ ქართულ ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობა არც ისეთი სავალალოა, როგორც ამას ბევრი წარმოაჩენს. FIFA-ში სტუმრობისას, საქართველოდან გაგზავნილი უამრავი საჩივარი და სფფ-ის მიმართ მუქარის წერილები დაგვხვდა", - განაცხადა ჟორდანიამ.

#### "FIFA-ს წერილი, ფაქტობრივად, ჩვენთვის კანონის სახეს ღებულობს"

"ჩვენი უპირველესი მიზანი ის იყო, რომ FIFA-ს საქართველოს მიმართ თავი შეეკავებინა ისეთი მკაცრი სანქციების გატარებისგან, როგორებიც ამ ორგანიზაციას ჩვევია. მიხარია, რომ ამას ჩვენ მივაღწიეთ კიდეც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ საკითხში FIFA საკმაოდ კატეგორიული იყო. უპირველეს ყოვლისა, FIFA სამოქალაქო სასამართლოს მიერ ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში უხეში ჩარევის წინააღმდეგია", - განაცხადა ჟორდანიამ.

FIFA-ში ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ, ქართული მხარე, ვიზიტიდან, დაახლოებით, 4-5 დღეში ელოდა ამ ორგანიზაციის დასკვნით წერილს, რომელშიც მითითებული იქნებოდა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები და რა გზით უნდა წავიდეს მომავალში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.


მერაბ ჟორდანია, იოზეფ ბლატერი და ვალერი ჩოლარია

გუშინ, სფფ-ის სახელზე უკვე მოვიდა აღნიშნული დასკვნა. მერაბ ჟორდანიას თქმით, წერილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები აუცილებლად 24 აგვისტოს უნდა ჩატარდეს.

"ეს წერილი, ფაქტობრივად, ჩვენთან მიმართებაში კანონის სახეს ღებულობს", - ამბობს ჟორდანია.

#### "არჩევნები აუცილებლად სფფ-ის წესდებით უნდა ჩატარდეს"

"წერილში ხაზგასმით წერია, რომ არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს სფფ-ის წესდებისა და სფფ-ის აღმასკომის უკანასკნელი ყრილობის დადგენილების მიხედვით. ასეთი სახის მითითებას პირად საუბრებშიც ჰქონდა ადგილი", - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

სფფ-ის პრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ დღევანდელ წესდებაში შესაძლოა, მოხდეს ზოგიერთი ცვლილებების შეტანა. მისი თქმით, FIFA-მ უკვე შეიმუშავა სტანდარტული წესდება, რომელიც ამ ორგანიზაციაში შემავალ ყველა ფედერაციას დაურიგდება. FIFA-ს და საკუთარ წესდებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, ყველა ფედერაცია ვალდებულია კორექტივები შეიტანონ საკუთარ კანონებში. ჟორდანია ამბობს, რომ 24 აგვისტოს, ყრილობის ჩატარებისთანავე, სფფ ამ საკითხს განიხილავს და ყველა შეუსაბამობას გამოასწორებს, თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს.

#### 24 აგვისტოს არჩევნებს FIFA-ს წარმომადგენელი დაესწრება

FIFA-ს მიერ გამოგზავნილი დირექტივის უკანასკნელ პუნქტში წერია, რომ არჩევნების დროულად არჩატარების შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ შემდეგი სანქციები გატარდება: FIFA-ს წევრის უფლებამოსილების შეჩერება, კონგრესზე ხმის უფლების ჩამორთმევა, საკლუბო და ეროვნული ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებიდან მოხსნა. მერაბ ჟორდანიას თქმით, საქართველო ამ საშიშროების წინაშე ნამდვილად არ დგას. "ამ შემთხვევაში, ეს უბრალოდ ფორმალობაა, FIFA-ს ყველა წერილი თუ მითითება ამ პუნქტს შეიცავს. ამ ეტაპზე ამის საშიშროება ნამდვილად აღარ გვემუქრება", - განაცხადა ჟორდანიამ.

ციურიხში ვიზიტისას, ქართულმა დელეგაციამ ზეპ ბლატერს სთხოვა, რომ 24 აგვისტოს ყრილობას დასწრებოდა FIFA-ს წარმომადგენელი. გუშინ, პრესკონფერენციის დაწყებამდე, 15 წუთით ადრე, ჟორდანიას ტელეფონით დაუკავშირდა FIFA-ს იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი ვინსენტ მონიე, რომელმაც სფფ-ის პრეზიდენტს განუცხადა, რომ მან უკვე მიიღო ბატონი ბლატერის მითითება, რომ 24 აგვისტოს საქართველოში გამოაგზავნონ FIFA-ს დამკვირვებელი. ვინსენტ მონიე მერაბ ჟორდანიას შეპირდა, რომ უახლოეს მომავალში აცნობებს, თუ როდის და რამდენი დამკვირვებელი ჩამოვა.

24 აგვისტოს ყრილობა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება.

#### "ინტერ-პრესის" ინფორმაციას ჟორდანია კომენტარს არ უკეთებს

პრესკონფერენციაზე დაისვა კითხვა საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული სააგენტო იუწყებოდა, რომ ჟორდანიასა და ჩოლარიას ციურიხში ვიზიტისას, ზეპ ბლატერი შვეიცარიაში საერთოდ არ იმყოფებოდა. სფფ-ის პრეზიდენტმა ამ ფაქტის კომენტირებისაგან თავი შეიკავა. "არ მინდა ჩავეძიო, თუ ვის აძლევდა ხელს ასეთი ტყუილი. მოდით, ეს პროფესიულ შეცდომას დავაბრალოთ", - განაცხადა ჟორდანიამ.

#### ბლატერმა "ინტერ-პრესთან" დაკავშირებული ინციდენტი იწინასწარმეტყველა

ჟორდანიას თქმით, ხუთშაბათს საღამომდე ბატონი ბლატერი შვეიცარიაში მართლაც არ იმყოფებოდა. FIFA-ს პრეზიდენტთან შეხვედრა პარასკევს დილის 10 საათზე შედგა.

ჟორდანიამ ერთი საინტერესო დეტალიც გაიხსენა: "როდესაც ჩვენი შეხვედრა დასრულდა და შენობიდან გამოსულები მანქანაში ვსხდებოდით, ბატონმა ბლატერმა დამიძახა, FIFA-ს შტაბ-ბინის შესასვლელთან დაგვაყენა და ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო. შემდეგ კი თავის თანამშრომლებს ამ სურათისა და ჩვენი ვიზიტის თაობაზე ინფორმაციის სხვადასხვა სააგენტოების საშუალებით გამოქვეყნება დაავალა. ეს ყველაფერი ძალიან გამიკვირდა, რადგან მე და ბატონი ბლატერი, დაახლოებით, თვეში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს და მსგავსი ჟესტი საკმაოდ მოულოდნელად მომეჩვენა. ჩემს გაოცებაზე პრეზიდენტმა მიპასუხა, რომ შესაძლოა, საქართველოში დაბრუნებულებს ისიც კი გითხრან, თითქოს ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართო. ბლატერმა ეს დილით მითხრა, საღამოს კი რაც მოხდა, კარგად იცით".

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფალთან ქედმოხრილი ევროპა წელში გაიმართა

გიგა გურასაშვილი

ექვსი დღის განმავლობაში ყველა გზა მიუნხენისკენ მიდიოდა, სადაც მძლეოსანთა ასპარეზობები მიმდინარეობდა.

დანიელთა ერთ-ერთ თვალსაჩინო "შენაძენს," კენიიდან სკანდინავიაში გადაბარგებულ უილსონ კიპკეტერს, ტკბილი მოგონებები აქვს მიუნხენურ სარბიელთან. სამი წლის წინათ გრან-პრის ფინალში გამარჯვებასა და ამასთან ოქროს ლიგაში, რუმინელ გაბრიელა საბოსთან ერთად, ჯეკპოტის მოგებას პირველი ევროპული "ოქროც" დაურთო.

800 მეტრზე რბენაში ჩემპიონობა არავის დაუთმო – 1.47,25 წუთი. მიუხედავად იმისა, რომ კიპკეტერს საკმაოდ ტიტულოვანი მეტოქეები ჰყავდა, ფინიშის ხაზის გადაკვეთამდე, მისთვის რეალური წინააღმდეგობა არავის გაუწევია. შუმანი, რომელმაც დანიელი სიდნეის ოლიმპიადაზე მეორე ადგილზე გაამწესა, აქ კი ტიტულის დასაცავად ირჯებოდა, თავად აღმოჩნდა მდევრის როლში. მეტიც, უკვე ყოფილ ევროპის ჩემპიონს ბრინჯაო ერგო (1.47,60). თუმცა, რომ არა ევროპის "ჭერქვეშა" ჩემპიონთან და ედმონტონის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოსან პოლონელ პაველ ჩაპიევსკთან წამიერი წაკინკლავება, შესაძლოა, მეორეც ყოფილიყო. პოლონელისა და გერმანელის არეულობით მეოთხე პოზიციაზე მყოფმა შვეიცარიელმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ანდრე ბუშერმა ისარგებლა და მეტოქეები ურთიერთობების გასარკვევად უკან მოიტოვა (1.47,43).

პირველი ევროპული "ოქროსთვის" ოფლს ღვრიდა გაბრიელა საბოც, თუმცა კიპკეტერისგან განსხვავებით, რუმინელისთვის ასეთი რამ მიუწვდომელი დარჩა. მისთვის ნაკლებ საყვარელ დისციპლინაში 1500 მეტრზე საბოს ტიტულები არაფრად ჩააგდო თურქმა სურეია აიჰანმა და პირადი რეკორდით (3.58,79) დაამარცხა.

3000 მეტრზე წინაღობებით, 10000 მეტრზე რბენაში და ქალთა შორის 5000 მეტრზე გამარჯვებების შემდეგ, ამ უკანასკნელში ესპანეთმა ვაჟთა შორისაც იმარჯვა. ალბერტ გარსიამ თანამემამულე ისააკ ვიკიოზას მიერ 1998 წელს მოპოვებული ჩემპიონის გვირგვინი ესპანეთს შეუნარჩუნა. 3000 მეტრზე წინაღობებში მსოფლიოს "ჭერქვეშა" ჩემპიონმა ბოლო 250 მეტრზე აიწყვიტა და ფინიშის ხაზი 13 წუთსა და 38,18 წამში გადაკვეთა.

ფრანგმი ისმაილ გირსმი კი, რომელსაც 5000 მეტრზე ივნისის შემდეგ არ უასპარეზია, ვერცხლს დაეუფლა (13.39,81). ბრინჯაო წილად ხვდა უკრაინელ სერგეი ლებიდს (13.40,00).

სანამ დანიელი, თურქი და ესპანელი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდოდნენ, იანე ჰოლმენმა ფინეთს თითქმის დავიწყებული ტრადიციები გაუცოცხლა. ფინელები, როგორც წესი, მარათონულ მანძილებზე ერთ-ერთი ლიდერთაგანი არიან. 1934, 1938 და 1946 წლებში პირველი სამი ევროპის ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მათ პოზიციები შედარებით დათმეს. ბოლოს, ვინც ევროპულ სარბიელზე გაჩემპიონდა, ეს ვეიკო კარვონენია, რომელმაც ამგვარ წარმატებას 1954 წელს მიაღწია. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ფინეთს ჰოლმენის სახით ჩემპიონი გამოუჩნდა. გამარჯვებულის კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე, 34-კაციანი გუნდისგან თავდასაღწევად, ჩრდილოელი მე-15 კილომეტრიდან დაწინაურდა და ასეთი უპირატესობა ბოლომდეც შეინარჩუნა. ჰოლმენმა თავსხმა წვიმაში "მარათონი" ორ საათში და 12.15 წუთში გაირბინა, უფრო სწორად - გაიძუნძულა.

"ჩემთვის წინასაასპარეზო გეგმა სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობას არ წარმოადგენდა. დასაწყისში მეგონა, რომ ძლიერ მეტოქეობას წავაწყდებოდი, მაგრამ, როდესაც მოვიხედე და ერთადერთი ნორვეგიელი მდევარი დავინახე, ჩვეულებრივ გავაგრძელე რბენა. გამარჯვების მერე ვიმედოვნებ, რომ გაცილებით პოპულარული გავხდები სამშობლოში", - ამბობს 24 წლის ჩემპიონი.

ქალთა შორის სიმაღლეზე მხტომელთა პაექრობებიც საინტერესოდ წარიმართა. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. თუმცა, ამაში გარკვეული როლი წვიმამაც ითამაშა, რადგან თითქოს იოლად დასაძლევი სიმაღლე – 1,92 მეტრი მხოლოდ ორმა, ისიც სეზონის საუკეთესო შედეგების მქონე შვედმა კაისა ბერგკვისტმა და რუსმა მარინა კუპცოვამ დაძლიეს. შვედმა - პირველივე, ხოლო რუსმა მესამე მცდელობისას გამოიჩინა თავი. ამის შემდეგ, სკანდინავიელი პირველივე მცდელობისას 1,94 მეტრსაც გადაევლო. კუპცოვამ მეტი მოითხოვა (1,96), მაგრამ ბერგკვისტი ისევ შეუდარებელი იყო. რუსმა არ დაიშალა და სიმაღლე 1,98-მდე გაზარდა. ამჯერად, ბერგკვისტი მას მესამე მცდელობით გადაახტა. ამასობაში კი, კუპცოვას უკვე ორივე მცდელობა ჰქონდა გაფუჭებული, მაგრამ გაჯიუტდა და დარჩენილი ერთადერთი ნახტომის უფლებით ძელი 2 მეტრზე ააწევინა. რა ძალა ედგა, ისევ წააგო. მართალია, შვედმა სიმაღლე ვეღარ დაძლია, მაგრამ ჩემპიონი მაინც გახდა. მეორეადგილოსან კუპცოვას უკან გერმანელი კატრინ ჰოლინსკი მიყვა – 1,89.



კაისა ბერკვისტი
REUTERS

ასპარეზობის ბოლო დღე რუსებმა უჩემპიონოდ დაასრულეს. მეტიც, ვაჟებს შორის 4x400 მეტრზე ესტაფეტაში ბრიტანელების მიერ მეორე ადგილზე გამწესებულ რუსებს, ოქროს მედლების რაოდენობით, ეს უკანასკნელნი გაუტოლდნენ. მიუხედავად ამისა, კონტინენტის უძლიერესის სახელი მაინც ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს დარჩათ. მათ მთლიანობაში 24 მედალი მოიპოვეს. ასეთი მაჩვენებლით, მეორეზე - 18 მედლით მასპინძლები, ხოლო მესამეზე ესპანელები (15) გავიდნენ.

ალპინიზმი

# ისინი ჩამოვიდნენ უშბიდან

"ამ მთებს ყოველთვის ემახსოვრება მისი ღირსეული შვილი - მიხეილ ხერგიანი" - დაახლოებით ასეთი წარწერით დამშვენებულ მემორიალურ დაფას "უშბა 2002"-ის ექსპედიციის რუსმა წევრებმა სამხრეთ მწვერვალზე მიუჩინეს ადგილი, რომელიც "კლდის ვეფხვის" 70 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

ქართველთა და რუსთა ერთობლივი ექსპედიცია "უშბა 2002" წარმატებით დასრულდა. ამის შესახებ გუშინ "24 საათის" საპრესკონფერენციო დარბაზში თავად ექსპედიციის მონაწილეებმა გვამცნეს. ორიოდე კვირის წინათ ვიუწყებოდით, რომ ქართველები და რუსები, ძველებურად ერთ თოკში ჩაბმულნი, უშბაზე იერიშის განხორციელებას აპირებდნენ. მაგრამ ვიდრე მწვერვალის მისადგომებთან მივიდოდნენ, შესახურებლად "ხევის პატარძალზე" – მყინვარწვერზეც უნდა გაელაშქრათ. მართლაც, ექსპედიცია 27 ივლისს, მყინვარწვერზე ასვლით დაიწყო. ორიოდე დღეში კი, ექსპედიციის მონაწილეებმა უშბის მისადგომებთან ბანაკი დასცეს და იერიშისთვისაც მოემზადნენ. თავდაპირველად, რუსებს ჩრდილოეთიდან სურდათ მწვერვალისკენ გზის გაკვლევა და უნაგირის ტრავერსით გავლით, ექსპედიციის ქართველ წევრებთან შეერთება. თუმცა, რუსეთის სასაზღვრო სამსახურმა მთამსვლელებს ამის უფლება არ მისცა. რუსებს ისღა დარჩენოდათ, თბილისში ჩამოსულიყვნენ და აქედან, ექსპედიციის ქართველ წევრებთან ერთად, გამგზავრებულიყვნენ მესტიაში. ასეც მოიქცნენ, მხოლოდ ეგაა, თავდაპირველად, განსაზღვრული ხუთკაციანი გუნდის ნაცვლად, სამი მთამსვლელით გვეწვივნენ. გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ჩამოვიდნენ ვასილ ელაგინი და სერგეი დუდაკოვი. ელაგინისგან განსხვავებით, დუდაკოვისთვის ექსპედიცია უშბაზე პირველი უნდა ყოფილიყო. ქართველ მონაწილეთაგან კი უშბადან ყველას გადმოუხედავს. ქართველთა ექსპედიციაში იყვნენ: იდრის ხერგიანი, ლევ სარქისოვი, დავით ჩანტლაძე და დავით ნიგურიანი. ვინაიდან საკმაოდ მოზრდილი ექსპედიცია შეიკრა, ჩანტლაძემ და ნიგურიანმა ბარში დარჩენა ამჯობინეს. ექსპედიციას ქართველთა მხრიდან ხელმძღვანელობდა "თოვლის ჯიქი" აფი გიგანი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიციამ წარმატებით ჩაიარა, მთამსვლელებს სტიქიასთან გამკლავებაც მოუწიათ.

საინტერესოა, რომ ექსპედიციის რუსმა წევრებმა ალექსეი ტრუბაჩოვმა და ვლადიმერ იანოჩკინმა უშბაზე ასვლის ნება არ მისცეს თანაგუნდელ სერგეი ზაბროდინს. საქმე ისაა, რომ ზაბროდინი მეორე თანრიგოსანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისთვის მე-5 კატეგორიის მწვერვალზე ასვლა, ჯერჯერობით, დაუშვებელია.

## მოჩვენება მშვენიერთა სქესს ერჩის

ინდოელმა მედიკოსებმა განგაში ატეხეს: უტარ-პრადეშის შტატის მთელი მოსახლეობა უძილობისგან იტანჯება, მაგრამ ამ უძილობის მიზეზი ზაფხულის გაუსაძლისი სიცხე არ არის; მიზეზი ამოუცნობი ფენომენია, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები ხატოვნად "უსხეულო სულს" უწოდებენ, ჩვეულებრივ ენაზე კი უბრალოდ - მოჩვენებას. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს მოჩვენება რატომღაც მხოლოდ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ერჩის ის ქუჩაში მოსეირნე ქალებს ჩუმად მიეპარება ხოლმე, საჯდომზე წამოარტყამს და გაუჩინარდება.

ერთი შეხედვით, სასაცილოა, მაგრამ ხალხი საყოველთაო მღელვარებამ მოიცვა. ქალები ისე დაშინდნენ, რომ გარეთ ველარ გამოდიან, ან თუ გამოდიან, უკან ბალიში აქვთ აფარებული. სკეპტიკოსები, რა თქმა უნდა, ირონიულად იღიმებიან და ამტკიცებენ, რომ ასეთი საქციელი ე.წ. "უსხეულო სულის" საქციელს კი არა, რეალური მამაკაცის ახირებას უფრო ჰგავს. თავდაპირველად ეს ვერსია ინდოეთის მაცხოვრებლებსაც გაუჩნდათ, პოლიციაში უამრავი საჩივარი შევიდა. მაგრამ პოლიციაც უძლური აღმოჩნდა. "რა უნდა მოვიმოქმედოთ ასეთ სიტუაციაში? ჩვენ შეგვიძლია, ადამიანი დავაპატიმროთ, მაგრამ მოჩვენებას ხომ ვერ დავადებთ ხელბორკილებს?" –ამბობდნენ შეწუხებული პოლიციელები. მოკლედ, ვერაფერი გაირკვა და მარტო მოსახლეობამ კი არა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კი ყველაფერი მოჩვენების ოინებს დააბრალეს.

ყველაზე ურწმუნონი ჟურნალისტები აღმოჩნდნენ. მათ გასული წლის გაზაფხულის ამბები გაიხსენეს, კერძოდ, დელიში "ადამიანი-მაიმუნის" - Monkey-man-ის გამოჩენა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მოულოდნელად საავადმყოფოები გაივსო ხალხით, რომელთაც სხვადასხვა სახის მოტეხილობები ჰქონდათ. ყველა დაზარალებული "ადამიან-მაიმუნს" ადებდა ხელს, რომელიც დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ქალაქის ქუჩებში და გამეტებით სცემდა ნებისმიერ შემხვედრს. ხმა გავრცელდა, რომ ეს უცნაური ცხოველი ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ჩასახლდა. ხალხში ისეთი პანიკა დაიწყო, რომ არაერთმა ადამიანმა თავისი საცხოვრებელიც კი მიატოვა.

1 მეტრი და 20 სანტიმეტრი სიმაღლის გიგანტური მაიმუნი, რომელიც თავისუფლად ხტებოდა 6 მეტრის სიმაღლეზე და უსწრაფესად დარბოდა, მძინარე ადამიანებსაც ესხმოდა თავს. დიდი სიცხის დროს დელის მაცხოვრებლებს ძირითადად სახლის სახურავზე ეძინათ და ამიტომ ადვილად ვარდებოდნენ მაიმუნის კლანჭებში. ბევრი ადამიანი შიშისგან სახურავიდანაც გადმოხტა და დაიმტვრა კიდეც. თვითმხილველთა თქმით, ადამიან-მაიმუნს ჰქონდა ბასრი ბრჭყალები, ადამიანის ტანი და ჩამუქებული სახე, ამიტომაც გაჩნდა ვერსია, რომ ის გადაცმული მანიაკი იყო. თუმცა, ამ ვერსიის ავტორები არ დაფიქრებულან, როგორ ახერხებდა ჩვეულებრივი ადამიანი (თუნდაც მანიაკი) უჩინარად ქცევას ან დახურულ კარში გასვლას. Monkey-man-ის დასაჭერად შარშანაც ათასამდე პოლიციელი გამოყვეს, მაგრამ - ამაოდ. პანიკა ამით არ დასრულებულა. ამას მოყვა მოარული ხმები ადამიანიდათვის შესახებ, რომელიც უჩუმრად ესხმოდა თავს მოძალადეებს. ის ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში "მოღვაწეობდა" და მთვარის შუქზე გაუჩინარდებოდა ხოლმე.

ამ ყველაფერმა ფსიქიატრებს აფიქრებინა, რომ ინდოეთში მასობრივ ფსიქოზს ან მასობრივ ისტერიას აქვს ადგილი, რადგანაც ერთხელ მიღებული შოკიდან გათავისუფლება ძალიან ძნელია. იმასაც ამბობენ, რომ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ბევრი რამ გადაჭარბებულია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არავინ უარყოფს ერთეული შემთხვევების არსებობას, ექსპერტები არ იზიარებენ მასობრივი ჰალუცინაციების, თუ მასშტაბური სენის გავრცელების ვერსიას. ისიც ძნელი სათქმელია, რომ მოჩვენებების ამბავი ფანტაზიორთა მონაგონს ან საგაზეთო ხუმრობას წააგავს, როგორც ეს მოსკოვში 80-იან წლებში მოხდა, ყველა - დიდი თუ პატარა, მეტროს სადგურებში დაბუდებულ მუტანტ ვირთხებზე რომ ლაპარაკობდა. თუმცა, ვერცერთი ვარაუდი ვერ მოჰფენს ნათელს ამოუცნობ ფენომენს. მოსახლეობა კი ასეთ სიტუაციებში მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებს თავს, რომ ამქვეყნად ყველაფერი ხდება.

ამჟამად ექიმებსა და ფსიქიატრებს სხვა რამ უფრო აშფოთებთ: რაც მოხდა, მოხდა; მაგრამ, მათი აზრით, პანიკით შეპყრობილი ადამიანების, განსაკუთრებით ბავშვების, ტელევიზიით ჩვენება, რომლებიც დაჟინებით ამტკიცებენ, როგორ მოფრინდა მოჩვენება უცხო პლანეტიდან, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. ეს მასობრივ ფსიქოზს კიდევ უფრო ამძაფრებს.




# ჯენიფერ ლოპესი ახალ როლში


ჯენიფერ ლოპესი REUTERS

ჯენიფერ ლოპესი მაყურებელს თავისი ახალი ფილმის Enough-ის გადაღებებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს. მსახიობის თქმით, შეურაცხყოფილი ცოლის როლის განსახიერება საკმაოდ რთული იყო. "ძალიან გამიჭირდა, ძალიან რთული ფილმი გამოდგა", - აღიარა მან MTV-სთან ინტერვიუში. ფილმში ლოპესი თხოვდება მომხიბვლელ და წარმატებულ მამაკაცზე, რომელიც ეგოისტი და აგრესორი აღმოჩნდება. ლოპესი, ქალიშვილთან ერთად, ცდილობს, მოძალადე ქმრისგან თავი დაიხსნას, მაგრამ მეუღლე მათ კუდში დასდევს და მოსვენებას არ აძლევს. ამიტომაც ლოპესის გმირი გადაწყვეტს, რომ ერთადერთი გამოსავალი ქმრის მოკვლაა...ფილმს შტატებში შერეული კრიტიკა ხვდა წილად. ზოგი კრიტიკოსი ლოპესის ახალ ნამუშევარს იაფფასიანის "ტიტულსაც" არგებს. Enough-ს ევროპელი მაყურებელი ამ კვირიდან იხილავს. კინოკარიერის პარალელურად, ჯენიფერ ლოპესი ახალ ალბომზეც მუშაობს. შესაძლოა, მისი ახალი ნამუშევარი საშობაოდ გამოჩნდეს.

# დილანების დინასტია ჰოლივუდს იპყრობს


ბობ დილანი REUTERS

ბობ დილანს, რამდენიმე წელია, მუსიკალურ სამყაროში გვერდს თავის ვაჟი, იაკობი უმშვენებს, პოპულარული და "გრემის" მფლობელი ჯგუფი Wallflowers წევრი. ახლა მას უფროსი შვილი, რეჟისორი ჯესი დილანიც გაუწევს კონკურენციას. დილანები ერთდროულად დაიწყებენ მუშაობას ჰოლივუდურ კინო-პროექტებზე. მამა, ახალი სამოქალაქო ომის თემატიკაზე შექმნილი ფილმის Gods and Generals-ის მუსიკის ავტორად მოგვევლინება; ჯესი კი ახალგარდა ამერიკელებისთვის გამიზნული კომედიის, American Pie-ის მესამე ნაწილს გადაიღებს. 61 წლის ბობ დილანმა კიდევ ერთი კინო - სახე შექმნა ფილმში "შენიღბულნი და ანონიმურები"

შვილების კონკურენციის მიუხედავად, უფროსი დილანი თავს ჩრდილში მოქცეულად სულაც არ გრძნობს და მათი წარმატებული კარიერების პარალელურად, საკუთარი მუსიკალური იმიჯის შენარჩუნებისთვის ყველაფერს აკეთებს.

## იაპონური კროსვორდი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 8 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 9 | | 2 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 9 | 2 | 10 | 1 | 8 | | |
| | | | | | 2 | | 2 | | 1 | | | 6 | 6 | | | | 10 | 9 | 10 | | | 9 | 1 | 3 | 3 | 2 | 3 | 7 | |
| | | | 2 | 3 | 3 | 1 | 2 | 2 | 2 | 8 | 6 | 9 | 4 | 8 | 8 | 11 | 4 | 1 | 1 | 10 | 9 | 1 | 4 | 4 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 |
| 3 | 4 | 6 | 8 | 14 | 13 | 15 | 13 | 18 | 15 | 14 | 14 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 3 | 3 | 4 | 2 | 1 | 2 | 2 | 3 | 11 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 10 |
| | | | 14 |
| | 1 | 3 | 16 |
| | 5 | 1 | 18 |
| | 1 | 1 | 20 |
| | | 2 | 20 |
| | | 1 | 21 |
| | | 2 | 21 |
| | 1 | 3 | 16 |
| 4 | 4 | 7 | 3 |
| | 7 | 2 | 2 |
| | 7 | 1 | 2 |
| 1 | 9 | 2 | 2 |
| 12 | 3 | 2 | 3 |
| 13 | 1 | 3 | 2 |
| 12 | 2 | 1 | 1 |
| 12 | 3 | 3 | 1 |
| | 12 | 1 | 1 |
| | 12 | 1 | 1 |
| | | 11 | 1 |
| | 10 | 4 | 1 |
| | 8 | 7 | 2 |
| | 7 | 6 | 2 |
| | 4 | 4 | 2 |
| | | 2 | 2 |
| | | 3 | 3 |
| | | 3 | 2 |
| | | 2 | 1 |
| | | 2 | 1 |
| | | 1 | 1 |

№68 გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი:




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## TV პროგრამა 13 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "დიდი ლუკმა" მთ.როლებში ბრედ პიტი, ბენისიო დელ ტორო

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "საბრალონი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
12.55 მხ. ფილმი "წუთისოფელი"
14.10 ლერერის შოუ
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. იაპონია - თურქეთი (განმეორებითი ჩვენება)
17.15 "ჩემი გოგლა"
17.45 "საკვირაო გამოფენა"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 დოკ. ფილმი "მამა, მე ალბათ ჯარში დავრჩები"
19.40 ბასტი - ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ტალანტები და თაყვანისმცემლები"
22.20 მხ.ფ. "დონ სეზარ დე ბაზანი"
00.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
01.00 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.20 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "გორილები ნისლში"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "დედიკოს ბიჭები"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-8 სერია
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "სანამ ღამე არ დამდგარა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ვირჯინიელი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 ბურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "ამოუცნობი მკვლელობა მანჰეტენში"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ბედის საჩუქარი"
22.30 ძველი კინო "სურვილების ტრამვაი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტოროლა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მომავალი პარასკევი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძიროგანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ქორწილი". მთ. როლებში მარია მირონოვი, მარატ ბაშაროვი
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ზამთრის სტუმარი". მთ. როლებში ფილიდა ლოუ, ემა ტომპსონი
03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
13.35 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"
15.10 მხ.ფ. "ლამაზმანი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "დათვი"
22.30 მხ.ფ. "შერგზურული ქოლგები"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 25-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 25-ე სერია
10.15, 13.25, 14.45, 17.10, 18.45, 20.15, 23.55, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.15 მხ.ფ. "კეთილისმყოფელი"
13.30, 21.30 დისქავერი
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "სფერო"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 26-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 26-ე სერია
18.50 მხ.ფ. "ქერათმიანი მამაკაცი შავ ფეხსაცმელში" მთ.როლებში პიერ რიშარი, მირეი დარკი, ბერტრან ბლიე
21.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
22.05 მხ.ფ. "ვუნდერკინდები" მთ. როლში მაიკლ დუგლასი
00.40 მხ.ფ. "ერთგულება". მთ. როლებში სოფი მარსო, გიომ კანი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "ჰერცოგი დიუკი"
10.55 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული მხატვრული ფილმი
13.20 მხატვრული ფილმი "აფიორა"
16.15 მულტფილმი
17.05 მელოდრამა "იმედის გამობრწყინება"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 დრამა "სამხედრო ექიმი"
03.30 თრილერი "თამაში"
05.05 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა)
11.40 მულტსერიალი
12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.20 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.25 "სახლიდან გაუსვლელად"
12.55 მუსიკალური ბიორითმი
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 სპორტი
14.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 მუსიკალური ტაიმაუტი
21.05 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.35 მოკლედ... სპორტი
21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.55 "სახლიდან გაუსვლელად"
22.25 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "საუკეთესონი საუკეთესოთა შორის" - 1 სერია.
23.55 პრესის მიმოხილვა
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - მხ.ფილმი "საუკეთესონი საუკეთესოთა შორის" - მე-2 სერია.
03.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Приключенческий сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ"
11.10 "Знатоки" "ШАНТАЖ". Дело №6. 1-я серия
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Народ против"
15.00, 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
16.20 "Кумиры"
16.50 "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.15 х.ф. "КАРОТЫШКА ИЗ МАЙАМИ"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 Диалоги о животных
11.00 "ЦЫГАН"
12.20 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 1-я часть
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ТАЙНА ОТОРВАНОЙ ПРЯЖКИ"
17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 2-я часть
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф."БУГГИ-БОЙ"
02.15 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Испании - Сборная Ирландии. 1/8 финал.

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
07.05 Утро на НТВ. 07.35, 08.35, 16.40, 19.40 Криминал.
08.20 Здоровье.
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: СМЕРТЕЛЬНЫЙ ТОТАЛИЗАТОР".
11.20 "Внимание: розыск!" "Черные риэлторы".
12.10 Андрей Макаревич в программе Павла Лобкова "Растительная жизнь".
12.40 "Китобои". "Профессия - репортер".
13.20 Вкусные истории.
13.35 Приключенческий фильм "МУШКЕТЕРЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ".
15.05 "Все решает взятка". Ток-шоу "Принцип домино".
17.30 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
18.35 Боевик "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ".
20.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "СЕРДЕЧНАЯ НЕДОСТАТОЧНОСТЬ".
21.40 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
23.35 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4".
00.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ДЕЛО ЧЕСТИ". 01.25 "О, счастливчик!" Азартная игра. 02.05 Триллер "ВНЕ ТЕЛА".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"